№ 83

სამშაბათი, 24 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 83

სამშაბათი, 24 მაისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ქვრივი **პელაგია** (იგივე ძაბუ) **ჩიქოვანისა დაბადებით თ. დ ყარამან დგებუაძის ასული**, აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგთ, რომ ივნისის ოთხს, დღით შაბათს, დაბა ახალ სენაკში შხეფის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, დანიშნულია ორმოცი დღის გამოტირილი და წირვა-პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის კოლლეჟსკი სეკრეტრის

ნიკოლოოზ მანუჩარის ძის ჩიქოვანისა,

და ამასთანავე მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის მწუხარებაში. წირვის დასაწყისი დილის ათ საათიდან, ხოლო პანაშვიდი—თორმეტ საათზე წირვის გათავებისათანავე.

ეკატერინე ზაალის ასული ბროძელისა, ელენე ქაიხოსროს ასული ანტონოვსკისა და სფირიდონ იოსების ძე ბაქრაძე შეილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 24 მაისს, დილის 10 საათზე, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

ანნა ქაიხოსროს ასულის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ძველი სენაკის სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ 5 ივნისს ამა 1905 წ. დაბა ძველ-სენაკში დანიშნულია დასახელებულ ამხანაგობის საზოგადო წლიური კრება.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) დამტკიცება წარსულ წელთა აღებ-მიცემობის ანგარიშისა.

2) არჩევა ამხანაგობის გამგეობის წევრთა და

3) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრთა.

თუ წევრები თითონ ვერ მობრძანდებიან, წესისამებრ, რწმუნებულს მიანდონ თავიანთი ხმა. (3—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 [illegible]ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვერ გაიხარებენ!

უკანასკნელ ძალღონეს იკრებს რეაქცია, მომაკვდავსავით უკანასკნელად იზმორება და ამ გაზმორებით ცდილობს სიკვდილის თავიდან აცილებას და მოღონიერებას. ის დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც აზვირთებულ ტალღად მოედო მთელს რუსეთის იმპერიას, სიკვდილსა და განადგურებას უქადის ყველა იმ ბნელ ძალებს, რომელიც აქამდის დატყვევებული ჰყავდათ მთელი საზოგადოება. ხალხმა შეიგნო თავისი მდგომარეობა, შეიგნო ის სულის შემხუთველი ტყვეობა, რომელშიაც იმყოფებოდა და თავის მორჩილებითა და უენობით ამა ქვეყნის ძლიერთ განცხრომისა და ბატონობის საშუალებას აძლევდა. ხალხი ეძებს სინათლეს, ეძებს თავისუფლებას, ძირს ერეკება იმ ძალას, რომელიც ყველას მაჯლაჯუნასავით თავს დასწოლია და სულს უხუთავს. ეს არის მოძრაობა პროგრესიული, ბრძოლა განმათავისუფლებელი, რომელიც ერთ-მუჭა უფლებამოსილთ ართმევს ბატონობის პრივილეგიას და ხალხს აძლევს თვით-ბატონობისა და თავისუფალ განვითარების უფლებას.

რასაკვირველია, თავის უფლებებისა და სოციალურ უპირატესობის უარყოფა არსად არ ხდება თავის ნებით და ძალდაუტანებლად. ასეა ეს ამ შემთხვევაშიაც. ის საზოგადოებრივი ჯგუფნი, რომელნიც ძველის წესწყობილებით სუქდებიან და ძლიერდებიან, ხოლო სახალხო თავისუფლებით ჰქნებიან და უძლურდებიან, ყოველ ღონეს ხმარობენ, წინ გადაეღობონ სახალხო მოძრაობას და ხელი შეუშალონ პროგრესიულ საპოლიტიკო მისწრაფების განხორციელებას. აქ ისინი არავითარ საშუალების წინ არ იხევენ,—სუფთაა ეს საშუალება თუ ჭუჭყიანი, ეს მათთვის უმნიშვნელო საგანია: ყოველი საშუალება კარგია, რომელიც განმათავისუფლებელ მოძრაობას ძალას აკლებს და არსებულ წესწყობილებას აძლიერებს. ამისთვის ერთ-ერთი გამოსადეგი ხერხია თვით ხალხში შუღლისა და მტრობის ჩამოგდება, რათა ხალხში ძალა დაიქსაქსოს და დუხჭირ სოციალ-პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ გაერთიანებული მოძრაობა არ წარმოსდგეს. არა ერთი და ორი მაგალითი ვიცით იმისი, რომ შავბნელ ძალებს აქა-იქ ამ ხერხით უსარგებლნიათ და ხალხში უთანხმოება დაუთესიათ.

ამიტომ ყველას, ვისაც ძვირფასად მიაჩნია ხალხის უფლებები და ინტერესები, მართებს განსაკუთრებით ფხიზლად მოეკიდოს ბნელ ძალთა ამგვარ ფარულ მეცადინეობას და ხალხს აუხსნას ნამდვილი მიზანი, რომელიც აქვს ხსენებულ ხასიათის სამტრო მოქმედებას...

ეს გარემოება, რომელიც არა-ერთხელ ყოფილა პრესსაში აღნიშნული, დღეს გაგვახსენა ერთმა კერძო ამბავმა, რომელიც მოხდა ბათუმში 15 მაისს. ამ დღეს იქ მოჰკლეს ერთი პატივცემული ქართველი მაჰმადიანი, მუფტი ჰაჯი ეფენდი-ზადე ყოლიჩიშვილი. ამ ამბავმა ერთნაირად შეაწუხა ყველა,—როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი ქართველები და გულწრფელად დაანანა გარდაცვალებული, რომელსაც თავის ცხოვრებითა და მოქმედებით, როგორც გადმოგვცემენ, დიდი პატივისცემა ჰქონდა ხალხში დამსახურებული. ჯერ დანამდვილებით არაა გამოკვლეული მიზეზი მკვლელობისა, ხოლო, რამდენადაც შესაძლებელია გარემოების გათვალისწინება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მკვლელს გაძარცვის მიზნით მოუმოქმედნია თავისი საზიზღარი ბოროტმოქმედება. ბათუმელი კორესპონდენტი გვწერს, რომ მკვლელობა, იქმნება, იმ ბნელ ძალთა სურვილის თანახმადაც იყოს მომხდარი, რომელნიც ამგვარ საშუალებით სარგებლობენ და ცდილობენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხნი ერთმანეთს წაჰკიდონო.

ჩვენ დანამდვილებით არ შეგვიძლიან ვთქვაო, თუ რამდენად მართალია ამ შემთხვევაში ჩვენი კორესპონდენტის მოსაზრება. მაგრამ ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ არიან ისეთი პირები, თომელთაც ეს ამბავი სასიამოვნოდ მიაჩნიათ და იმედოვნებენ, რომ ამით მტრობა და სიძულვილი ჩამოვარდება მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის. იქნება არიან კიდევ ისეთები, რომელნიც ამ აზრით საზიზღარ ქადაგებასაც ეწევიან და ძმას ძმის წინააღმდეგ აქეზებენ!..

მაგრამ ტყუილად! ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამგვარ პირთა მეცადინეობა ნაყოფს ვერ მოიტანს და ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის ვერ ჩამოაგდებს მტრულ განწყობილებას. ქართველ ხალხს, განურჩევლად სარწმუნოებისა, აერთებს მრავალ საუკუნეთა ისტორია და ეროვნული თვითცნობიერება: თითოეული შეგნებული ქართველი მაჰმადიანი ღვიძლ შვილად სთვლის თავის თავს იმ საერთო ტომობრივ ოჯახისა, რომელსაც ქართველობა ეწოდება, და ამიტომ, იმედია, ზიზღით შეხედავს იმას, ვინც მას არა-მაჰმადიან ქართველს მტრად დაუსახავს.

ბათუმის მაჰმადიან ქართველებმა თავის თვალით ნახეს, რაც თავის თავადაც საგულისხმო და მოსალოდნელი იყო, რომ პატივცემულ მუფტის სიკვდილმა საერთოდ მთელი ქართველობის მწუხარება გამოიწვია. მიცვალებულის კუბოს, მაჰმადიანებთან ერთად, ათასობით მიჰყვებოდნენ ქრისტიანი ქართველები.

ეს ფაქტიც, როგორც წარსული ისტორია, იმის მაჩვენებელია, რომ ქართველებში სარწმუნოებრივ ნიადაგზე მტრობა ვერ აღმოცენდება და ძმა ძმას არ დაშორდება. ეს დაშორება სასურველი და სასარგებლო იქნებოდა მტრებისათვის.

ჩვენ გვრწამს, რომ ამის მოსურნე პირები თავიანთ სურვილს ვერ განახორციელებენ და ვერ გაიხარებენ!...

◆

რუსულ გაზეთების აზრი როჟესტვენსკის დამარცხების შესახებ

რუსული გაზეთები წინად, როჟესტვენსკის გამგზავრების დროს შორეულ აღმოსავლეთისაკენ, დიდის ქებით იხსენიებდნენ თვით ადმირალს და სრული იმედიც ჰქონდათ, რომ საზღვაო ბრძოლაში ამ ფლოტის საშუალებით, რუსეთი სულ თუ ვერ დაამარცხებს იაპონიას, შესამჩნევად მაინც შეასუსტებსო მის ძლიერებას ზღვაზე...

გამარჯვების იმედი ჰქონდათ...

თვით 14 მაისს, ე. ი. იმ დღეს, როდესაც ცუსიმას კუნძულთან უკვე იძირებოდა რუსების გემები, ზოგიერთი გაზეთი, მაგ., **„რაზსვეტი“**, ამნაირად იხსენიებდა მის ძლიერებას:

„რუსების ესკადრა შანჰაის მიუახლოვდა... ეს იმის ნიშანია, რომ ტოგო ჩინეთის განაპირა ზღვებში აღარ ბატონობს ახლა... აღელვებულია ყოველი რუსი... თუმცა ყველას ეჯავრება ეს ომი, რომელმაც დაღუპა რუსეთი, მაგრამ მაინც ყოველი რუსი რაღაც საიდუმლო ძაფებით როჟესტვენსკის ესკადრასთან არის დაკავშირებული, იმ ესკადრასთან, რომელმაც შანხაიში ჩასვლით ამცნო მთელს დედამიწას, რომ იქ, იქაურ ზღვაში, ისევე ფრიალებს ამაყად რუსეთის დროშა, რომ აგერ იზრდება, ისევე იშლება პორტ-არტურთან ზღვაში დამარხულ რუსების ეროვნული სიამაყე და საომარი სახელი“.

ეს მოლოდინი არ გამართლდა და ახლა, როდესაც ესკადრა დამარცხდა, სრულებით განადგურდა და მოისპო, რუსული გაზეთები სულ სხვას ამბობენ, საქმის გამოსწორებას ცდილობენ.

იგივე **„რაზსვეტი“** სწერს ახლა: «საშინელი ხმებია ცუსიმასთან მომხდარ საზღვაო ბრძოლის შესახებ და ამ ხმების გამგონი ადამიანი ცხადად, აშკარად გაიძახის: ზავი! ზავიო!.. მაგრამ დასთანხმდება განა იაპონია ომის გათავებაზე? ახლა, როდესაც თავის მოსისხლე მტრის—რუსეთის გული გაჰგმირა, იგი მოისურვებს რუსეთის წვალებას გულის მოსაჯერებლად... იაპონია ზავის ჩამოგდებას გაგვიძნელებს უთუოდ... ჩინეთი, დღეს თუ ხვალ, აუმხედრდება რუსეთს... აზიის უმეტესი ნაწილი აღფრთოვანებულია იაპონიის გამარჯვებით... ვიღას მიენდოს რუსეთი? ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ახლა ჰგზავნის „მშვენიერს იაპონიაში“ გასასეირნებლად თავის ქალიშვილს... ინგლისი ვეღარ მალავს თავის მხიარულებას. საფრანგეთი მხოლოდ მეტ ხარჯებს ერიდება, ფულის დაკარგვას. გერმანია დიდის ზეიმითა და პატივისცემით ეგებება იაპონელ პრინცს არისუგავას. ყველას უხარია, რომ სლავიანთა სახელი იღუპება, რომ ისჯება რუსეთი“!..

„ბირჟევია ვედომოსტი“ სწერს:

„რა გულსაკლავი, რა გამოუთქმელი სევდა აწვებათ რუსებს გულზე, იმის გახსენებაზე რომ დიდებული ფლოტი, რომელმაც ათას ვერსობით ზღვა გადაიარა და ათასს საფრთხეს გაუძლო, აღარ არსებობს, რომ მასაც ის ბედი ეწვია, რომელიც წინად მაკაროვს ერგო. მთელი ევროპა განგაშებს და ქვეყანას ამცნევს რუსების დამარცხებას და რუსეთის სამხედრო მთავარ-შტაბი სდუმს, სამხედრო ცენზურა კი გამალებული საქმიანობს. ვისთვის და რისთვის იწუხებს თავს იგი? რუსეთს განგებამ განსაცდელი მოუვლინა, უბედურება თავს დაატეხა, რაღაა აქ დასამალავი?“.

გაზ. **„სლოვო“** სწერს:

„რუსეთს ახალი მეხი დაატყდა. რუსები ენდობოდნენ კუროპატკინს, მაგრამ დაამარცხეს; სწამდათ პორტ-არტურის ძალა, მაგრამ ციხის უფროსმა იგი იაპონელებს გადასცა, უკანასკნელი იმედი როჟესტვენსკის ესკადრა იყო და... აღარც ეს ესკადრა არსებობს. რა დაემართათ რუსებს, რა ღვთის წყრომაა? რუსეთის მეთაურებს სიმღერითა და მუსიკით თითქო გამარჯვებისკენ მიჰყავდათ ხალხი, ნამდვილად კი იმ ხაფანგში გააბეს, სადაც იღუპება რუსების სახელი. 200 წლის განმავლობაში თვალ-ახვეულნი საითკენღაც მიდიოდნენ და, აი, ბოლოს უფსკრულს მიადგნენ. რუსი სარდლები ხალხის ზურგს ამოეფარნენ და არ უნდათ თვალებიდან საფარი მოხსნან, მაგრამ ხალხი თვითონ მოიხსნის ამ დაწყევლილ საფარს. ხალხი ხედავს, თუ საით მიჰყავთ იგი რუსეთის მმართველებს, და სრული უფლება აქვს აქაც სთქვას: კმარა! დაე, თვითონ ხალხმა გამოარკვიოს, რა ჰქმნას და როგორ მოიქცეს. ხალხი აქამდის მხოლოდ სდუმდა და ითმენდა. ეხლა კი იმისი ჯერი დადგა. ბიუროკრატიამ თავისი საქმე გააკეთა და მთელ რუსეთს თავს ლაფი გადაასხა, შეარცხვინა. მაგრამ თუ ბიუროკრატიამ ეხლაც მოინდომა კერპობა, ურჩობა დაიწყო და კვლავინდებურად სოროში დამალვა მოისურვა, მაშინ მოიგონოს რუსეთის ისტორია, ისტორია 1649 წლის საერო კრებისა და, როგორც უნდა, ისე მოიქცეს. კმარა, კმარა!!!“

გაზ. **„რუს“-ი** სწერს: „როჟესტვენსკის დამარცხებას ისე ვერ შევხედავთ მხოლოდ, როგორც წაგებულ ომის ერთს უდიდესს შემთხვევას. ახლა იმის თქმა აღარ შეიძლება: ერთი დაიღუპა, მეორე ესკადრას გავგზავნითო. დაღუპულ ესკადრის უკანასკნელ ბრძოლის მიზანი ზღვაზე გაბატონება იყო. ეს ბრძოლა რუსეთის სასარგებლოდ არ დასრულდა და საქმის გამოსწორებაც აღარ შეიძლება. რუსეთმა საგრძნობელი ძალა დაჰკარგა და ამიტომ აუცილებლად არის საჭირო, ამ საქმის მოსაწყობად შეეკრიბოთ ხალხის წარმომადგენელნი, აუცილებელი და საჭიროა მით უფრო, რომ ხალხმა რწმენა არ დაჰკარგოს თავის თავისა, თავისის სვე-ბედისა“...

„სინ ოტეჩესტვა“ სწერს:

„აქაურ გაზეთებისაგან მიღებული ცნობები აშკარადა ჰხდის, რომ მართალია რუსების მთელის ესკადრის განადგურების ამბავი...

ახალი, გულის შემზარავი ამბავი! ნახევარ მილიონ ახალგაზრდა ადამიანის მეცადინეობა, მთელის მანჯურიის რკინის გზა, პორტ-არტური ქ. დალნი, მილიარდ-ნახევარი ან ორი მილიარდი ნაღდი ფული, სამი ესკადრა, რუსეთის მთელი საზღვაო ძალა—ყველაფერი... ყველაფერი, რასაც საუკუნოების განმავლობაში აშენებდა რუსეთი, რაზედაც იხარჯებოდა ხალხის ოფლი და სისხლი, ყველაფერი შთანთქა უფსკრულმა,—ყველაფერი ან დაიღუპა, ან იაპონიის ხელში გადავიდა.

სამარცხვინოა! მაგრამ ამასთან ერთად კიდევ სხვა, რაღაცა წინასწარ-გრძნობა გვიღვივის გულში, მოველით რაღასაც...“

გაზ. **„ნაშა ჟიზნი“** სწერს:

„გლოვის ზარივით დაჰკრა მთელს რუსეთს როჟესტვენსკის დამარცხებამ. აუნაზღაურებელი ზარალი და უბრალოდ დანთხეული სისხლი სამარცხვინო ბოძზე მიაკრავს ყველა იმას, ვინც იყო ამის მიზეზი. ასი-ათასობით ხალხი და ორ მილიარდზე მეტი ფული ამსხვერპლეს დასავლეთ ევროპის კულტურის, ცხოვრების ახალ ტალღის შესაჩერებლად... სევასტოპოლმა განაახლა რუსეთი და ბატონ-ყმობის შემუსვრას ხელი შეუწყო. დღესაც მხოლოდ ერთად-ერთი ნუგეში-ღა დაგვრჩენია: პორტ-არტური, მუკდენი და კუნძული ცუსიმა შეპბერტყავს, გამოაფხიზლებს მთელს რუსეთს და მთელს საზოგადო ძალ-ღონეს ერთ მიზანს დაუსახავს, რომ ბიუროკრატიულ რეჟიმის ნანგრევებზე აღფრთოვანდეს ახალი ზნეობრივი, გონებრივი და მთელის ხალხის შემოქმედებით ძალა“.

ერთად-ერთი **„მოსკოვს. ვედომოსტი“** არა ტყდება და თამამად სწერს:

„მართალიც რომ იყოს—თავზარდამცემი ამბები როჟესტვენსკის დამარცხებისა ცუსიმას კუნძულთან, რუსეთს დღეს საშუალება რომ მოესპოს კიდეც ზღვაზე ბატონობისა, მას მაინც დიდი და ფართო ასპარეზი რჩება სახელოვან გამარჯვებისთვის ხმელეთზე.

„წარსულში არა დაგვრჩომია-რა, საქმე წინ არისო“ მშვენიერი სიტყვებია რომელიც, თურმე, როჟესტვენსკის უთქვამს წასვლისას. მართლაც, რომ ჩვენ მხოლოდ **წინ** უნდა მოველოდეთ ყოველისფერს... მხოლოდ ის იმარჯვებს, ვინც ბოლომდე მედგრად და უდრეკელად შეირჩენს სიმამაცესა და ენერგიას... რუსეთი გაიმარჯვებს მაშინ, თუ, თავზე დატეხილს უბედურებას, ქედს არ მოუხრის, თუ შეიგნებს, რომ დღევანდელი გამარჯვება მხოლოდ განვითარებულ ტეხნიკის საქმეა...

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 მაისი.

ვარშავა, 21 მაისი, „ვარშავსკი დნევნიკ“-ში სწერია: „ხელმწიფე იმპერატორმა 17 აპრილის უქაზით თავის ქვეშევრდომთ მიანიჭა სარწმუნოებრივი თავისუფლება. იმავე უქაზში ხელმწიფე იმპერატორმა გამოსთქვა რწმენა, რომ თავისუფლება მართლმადიდებელთა და არა-მართლმადიდებელთა შორის ჩამოაგდებს შეიდობიანობასა და სიყვარულსაო, მაგრამ გულის ტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ეს უქაზი ზოგმა კარგად ვერ გაიგო და თავისებურად ხსნის მას: ზოგიერთი, თვითონ რომ სარწმუნოებას იცვლის, იმავე დროს სხვასაც აქეზებს, კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღეთო და ვინც თანახმა არაა, დასცინიან, ემუქრებიან, ძალას ატანენ. დღეს მის უდიდებულესობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია. ვიმეორებ, რომ მხოლოდ მართლ-მადიდებელ ეკლესიას შეუძლიან გაავრცელოს თავისი მოძღვრება, სხვა სარწმუნოებათა პირებს აღკრძალული აქვთ ძალა დაატანონ ვისმე, რომ მათი სარწმუნოება მიიღოს. დამნაშავენი სისხლის სამართალში იქმნებიან მიცემულნი. იცოდეს მართლ-მადიდებელ რუსეთის ხალხმა, რომ მართლმადიდებელ მონასტრებს, ეკლესიებს, წმიდა ხატებს მართლმადიდებელი ხელმწიფე არავის დაანებებს“. ხელი აქვს მოწერილი ვარშავის გენერალ-გუბერნატორს გენერალ-ადიუტანტ მაქსიმოვიჩს.

კურსკი, 21 მაისი. საგუბერნიო სამმართველომ დაადგინა, მისცეს სამართალში ზოლოცმეისტერი ზარინი და ყოფილი ბოქაული, რადგანაც ისინი, 12 თებერვალს მომხდარ უწესოების დროს, უკანონოდ მოიქცნენ.

პეტერბურგი. გარდაწყვეტილია, წელს სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში მიიღონ მხოლოდ ისინი, ვინც წელს დაამთავრეს სწავლა გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა, პაჟისა და კადეტის კორპუსებში. სტუდენტები და ყოფილი სტუდენტები უნივერსიტეტების ყველა ფაკულტეტებისა უმაღლეს კურსებზე არ მიიღებიან. თხოვნებს მიიღებენ პირველ ივნისიდან 15 ივლისამდე. თხოვნებზე პასუხს შეატყობინებენ წერილობით ივლისის გასულს და მარიამობისთვის დასაწყისში.

ირკუტსკი, 21 მაისი. ადმირალმა ბირილიოვმა გაიარა.

ბაქო, 21 მაისი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ქალაქის წარმომადგენელთა და სამღვდელოებისა. კრებამ ქალაქში მშვიდობიანობის დასამყარებლად საშუალებანი უნდა გამოძებნა. გადასწყვიტეს, დააარსონ კომიტეტი, დაბეჭდონ მაჰმადიანთა ახუნდის დამამშვიდებელი სიტყვა და სთხოვონ გაზეთებს, რომ ტენდენციური ცნობები არ ჰბეჭდონ.

მოსკოვი, 21 მაისი. საერობო მოღვაწეთა კერძო კრებაზე, რომელიც უნდა შესდგეს შიპოვის თაოსნობით, მონაწილეობის მიღების სურვილი გამოაცხადა 33 გუბერნიამ. ამ კრებას აზრადა აქვს, რუსის ფლოტის დამარცხების გამო, პირველსავე სხდომაზე შეიმუშაოს რეზოლიუცია, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას ხალხის წარმომადგენელნი. მოსკოვის ქალაქის მოურავმა რუსეთის ყველა ქალაქების მოურავები მოიწვია 24 მაისს მოსკოვში. ამ კრებას საერობო მოღვაწეებთან უნდა შეერთება და ერთად გადაწყვეტა, რა საშუალებანი მიიღონ შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ ამბების გამო. საბჭოს 24 მაისის სხდომაზე 160 ხმოსანს შეაქვს განცხადება, ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ომის გაგრძელების გადაწყვეტის შესახებ ხალხსაც მოუსმინონო.

ნიჟნი ნოვგოროდი, 21 მაისი. საბჭომ დაადგინა, მიმართოს დეპეშით ხელმწიფესა და მთავრობას, რათა დაუყოვნებლივ იქმნას მოწვეული ხალხის წარმომადგენელნი.

კალიში, 21 მაისი. უკანასკნელ დროს მანიფესტანტები ქალაქის მიდამოებში ახდენენ უწესოებას, ისვრიან რევოლვერებს და სარევოლიუციო სიმღერებს ამბობენ.

კიევი, 20 მაისი. ქალაქის საბჭოში ხმოსნებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ მალორუსიელ მწერალს შევჩენკოს ძეგლი დაუდგას.

ბერლინი, 22 მაისი. „ლოკალ-ანცეიგერ“-ის პარიზელ კორესპონდენტის სიტყვით, მოტონომ ერთს დიპლომატს უთხრა, რადგანაც საფრანგეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია, ეს უკანასკნელი ზავის ჩამოგდებაზე შუამდგომლობას ვერ გასწევსო. „ტაგებლატი“ ამტკიცებს, რუზველტის თაოსნობა უნაყოფოა, რადგან რუსეთი და იაპონია შუამდგომლობაზე უარს განაცხადებენო, იაპონიისთვის უფრო სასარგებლოა, რუსეთი თავისით მოელაპარაკოსო.

კიევი, 21 მაისი. ამ მხარის უფროსმა გამოაცხადა: სახელმწიფო წეს-წყობილებისა და საზოგადოებრივის მშვიდობიანობის შესახებ დებულების მე-17 მუხლის ძალით, ისინი, ვინც მთავრობას წინააღმდეგობას გაუწევს, თავს დაეცემა პოლიციის მოხელეებსა და თანამდებობის კაცთ, აგრეთვე ისინი, ვინც ისეთ დანაშაულს ჩაიდენს, რომელიც სისხლის სამართლის კანონებს ექვემდებარება და რომელიც მიმართულია პიროვნებისა და კერძო საკუთრების წინააღმდეგ—სამხედრო სამართალში იქნებიან მიცემულნიო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

21 მაისი.

სასებო, 20 მაისი. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტს დაწვრილებით გაუგია ადმირალ როჟესტვენსკის ტყვედ წაყვანის ამბავი. ადმირალი ჯერ თავის გემზე ყოფილა. 14 მაისის ბრძოლაში გასაოცარ სიმამაცით იბრძოდა თურმე, მაგრამ 15 მაისს მისი გემი მოსწყდა დანარჩენ ესკადრას და იაპონელების რამდენისამე გემს ერთი ებრძოდა. რამდენისამე ხნის განმავლობაში იაპონიის მთელი ესკადრა „კნიაზ სუვოროვს“ იღებდა ნიშანში. ყუმბარებმა პალუბა ერთიანად გაანადგურა. ცხადი შეიქმნა, რომ გემი მალე უნდა ჩაძირულიყო. ადმირალი სხვა გემზე გადაიყვანეს, შტაბის 8 აფიცერი ნაღმოსან „ბედოვი“-ზე გადავიდა. იაპონელები ჯავშნოსანს ყუმბარებს მაინც ესროდნენ. ნაღმოსნებს ერთი მიზანი-ღა ჰქონდათ—როჟესტვენსკისთვის ედევნებინათ თვალი. როჟესტვენსკი და შტაბის უფროსი მეორედ დაიჭრნენ. მაშინ „სასანამი“-დან მეზღვაურნი „ბედოვი“-ზე გადავიდნენ: იაპონელებმა გასჩხრიკეს რუსის გემი და ყველანი დაატყვევეს. როჟესტვენსკი გემში ისეთ ალაგას დამალულიყო, რომ ძლივს იპოვნეს. დაჭრილი სისხლიდან იცლებოდა თურმე.

ტოკიო, 20 მაისი. მთავრობა ზავის შესახებ ხმას არ იღებს. როგორც ეტყობა, იაპონელებს უნდათ ჯერ ვლადივოსტოკი აიღონ და შემდეგ ჩამოაგდონ ზავზე ლაპარაკი. რუსის ერთი გემი ვენჩოუს მახლობლად უნახავთ. ჰფიქრობენ, ეს «ოლეგ»-ი უნდა იყოსო. ორი ნაღმოსანი ვლადივოსტოკისკენ წავიდა.

სასებო. როდესაც ტოგომ ნებოგატოვს გადასცა ბრძანება მიკადოსი, შეგიძლიანთ ბრძოლაზე მოხსენება გაგზავნოთო, ადმირალმა გრძნობიერი მადლობა გადაუხადა და სთქვა, მიკადოს ბრძანებას სავსებით შევასრულებო. ამბობენ, ამ მოკლე ხანში ნებოგატოვს რუსეთში დაბრუნების ნებას მისცემენო.

ტოკიო, 21 მაისი (ბერლინზე). უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ბრძოლის ველზე ჯარი ათასობით იგზავნებოდა. იაპონელები ამბობენ, რაც მანჯურიის არმიამ იზარალა, უკანვე დავიბრუნეთო. ჩრდილოეთ გენზანის ერთ-ერთ ნავთსადგურში ყოველ დღე გადაჰყავთ ჯარი, რომელიც ვლადივოსტოკისთვის არის დამზადებული.

22 მაისი.

სასებო, 19 მაისი. იაპონიისა და კორეის სანაპიროებზე დაცურავენ დამღრჩვალთა გვამები. ნაპირებზე ცურვით გამოდიან მშიერნი, მწყურვალნი, დაუძლურებულნი წყალში ჩაცვინულნი მეზღვაურნი. იაპონიის ორ კრეისერს მიანდეს გასულიყო ზღვაში და, თუ ვისმეს იპოვნიდა, გადაერჩინა. ეს კრეისერები დღეს დილით დაბრუნდნენ და მოიყვანეს ექვსასზე მეტი გადარჩენილი მეზღვაური. ტყვეთა რიცხვი ხუთი ათასამდეა. როჟესტვენსკი ცალკე საავადმყოფოშია მოთავსებული. მისი წამლობა იაპონელ ხირურგებს მიენდო. თუმცა ჭრილობანი საშიში არ არის, ადმირალი ძალიან დასუსტებული და ფერდაკარგულია. იმედი აქვთ, რომ მორჩება. მისი შტაბის უფროსი კაპიტანი კლაპიე დე-კოლონი მსუბუქადაა დაჭრილი.

ტოკიო, 20 მაისი. „ორიოლ“-ის კაპიტანი ჭრილობების გამო გარდაიცვალა. პირველად ეგონათ, რომ „ორიოლ“-ი ცოტათია დაზიანებულიო, მაგრამ ძალიან ყოფილა წამხდარი. გაზეთი ,,ასახი‘‘ თავის აზრს ამბობს: როჟესტვენსკის, აღმოსავლეთის მაგივრად, ჩრდილოეთისაკენ რომ გაერღვია გზა, ესკადრის ნახევარი მაინც მიაღწევდა ვლადივოსტოკსაო.

სასებო, 19 მაისი. იაპონიის კონტრ-ნაღმოსანის ,,მარაკუმას‘‘ კომანდირმა ასე აწერა რუსეთის საადმირალო გემზე იერიშის მიტანის ამბავი. ,,14 მაისს, განთიადისას, ჩვენ ცნობა მივიღეთ: მტრის ესკადრა ახლოვდება და კუნძულ ნეელპარტთან მოეიდაო. იაპონიის მესამე ესკადრამა და კონტრ-ნაღმოსნების ფლოტილიამ რუსები კუნძულ იკის წყლებში შემოიტყუა და ჩვენმა ფლოტმა სროლა აუტეხა. ჩვენ მოფარებულ ადგილს ვიდექით და რუსებისაგან გამოსროლილი ტყვიები არა გვხვდებოდა. იაპონიის კონტრ-ნამოსნები კრიჭაში უდგნენ რუსებს, რომლებიც ზარბაზნებს გვესროდნენ. მაშინ იაპონიის ფლოტის უმთავრესმა ძალამ რუსებს ჩრდილოეთიდან წამოუარა და დაუწყო საშინელი ბრძოლა. ჩვენ ბრძანება მივიღეთ: იერიში მიიტანეთ რუსეთის საადმირალო გემ ,,სუვოროვზეო‘‘. სწრაფად გავქანდით ამ გემისაკენ, მივუახლოვდით ასს მეტრზე და პირველი ნაღმი ვესროლეთ. ნაღმი მოხვდა გემის ცხვირს და საჭეს აპარატი მიუნგრია. ამ წუთიდან იაპონიის მთელმა ფლოტმა ნიშანში მხოლოდ როჟესტვენსკის გემი ამოიღო. ჩვენ დავინახეთ, რომ გემის მილები მიიმსხვრა, ანძები, ერთის გარდა, მოემტვრა და საშინელის გრიალით დაეცა გემზე. ოფიცრები და კომანდა შეგროვდა გადარჩენილ ანძასთან. საზარელი სანახაობა იყო. ამ დროს ჩვენ გავისროლეთ მეორე ნაღმი, რომელიც გემის მარცხენა კედელს, თითქმის წყლის პირად მოხვდა და კედელი შეანგრია. ნიშანში ახლა ერთად-ერთ გადარჩენილ ანძასთან მდგომი აფიცრები და კამანდა ამოვიღეთ. რამდენისამე წუთის განმავლობაში სულ ერთიანად გავჟლიტეთ. სწორედ ამ დროს გემი გადაბრუნდა, ყირაზე დადგა და წყალში ძაძირვა დაიწყო.

მანილლა, 21 მაისი. აქ მოვიდა კონტრ-ადმირალი ენკვისტი და გემები ,,ავრორა‘‘, ,,ჟემჩუგი და ,,ოლეგი‘‘. გემები ძალიანაა დაზიანებული, ბევრია დაჭრილი.

ტოკიო, 20 მაისი. ტოგო იუწყება, 14 მაისს სხვებთან ერთად ჩავძირეთ კრეისერი ,,ურალი‘‘, სატრანსპორტო ,,კამჩატკა‘‘, ,,ირტიში‘‘ და კიდევ ერთი გემი, რომელიც ,,რუს‘‘-ი უნდა ყოფილიყოო.

ლონდონი, 20 მაისი. ვაშინგტონიდან „რეიტერს“ დეპეშით ატყობინებენ: რუზველტი იმედოვნებს, რომ რუსეთი მალე ჩამოაგდებს ზავსაო, რადგან, რაც დრო გავა, იაპონია უფრო მეტს მოითხოვს და რუსეთს ხომ გამარჯვების იმედი აღარ უნდა ჰქონდესო. რუზველტთან საუბრის დროს კასსინიმ განაცხადა,—რუსეთს ხომ საკუთარი ერთი მტკაველი მიწაც არ დაუკარგავო. კასსინიმ პეტერბურგში აცნობა რუზველტის აზრი.

ტოკიო, 20 მაისი. („დეილი მეილი“). „ორიოლის“ დათვალიერებამ აღმოაჩინა, რომ გემი ძლიერ დაზიანებულა. იაპონიაში ხეროსიმასა და სიმონოსეკს შუა დიდი მიწის ძვრა იყო. ამბობენ, ბევრი იმსხვერპლა.

ლონდონი, 21 მაისი. გაზეთ „მირორ“-ში დაბეჭდილი ცნობა, ვითომც ბენკენდორფს ზავის შესახებ ეთათბიროს ლანსდოუნთან, სიმართლეს მოკლებულიაო.

ლონდონი, 20 მაისი. გაზეთი „მირორი“ იუწყება: ამ უკანასკნელ დღეებში ლანსდოუნს რამდენჯერმე ჰქონდა თათბირი ბეკენდორფთან ზავის თაობაზე და მეფის მინდობილებით განუცხადა: შესაძლებელი თუ გახდეს ინგლისის მონაწილეობა, ინგლისი სიამოვნებით დაეხმარებოდა ზავის ჩამოგდებაშიო. ბენკენდორფმა პეტერბურგში აცნობა იმის შესატყობად, მიემხროს თუ არა ლანსდოუნის მინდობილებას.

შანხაი, 20 მაისი. იაპონიის ელჩმა განმეორებით მოითხოვა ვუზუნსა და შანხაის რუსეთის სანახშირე გემების იარაღის აყრა. რუსეთი უპასუხებს, ეს გემები ჩვეულებრივი სავაჭრო გემებია, ხოლო თუ გემებს სამშობლოში დაბრუნების ნებას მისცემთ, მერე აღარ გამოვგზავნითო.

ნაგასაკი, 20 მაისი. (რეიტერი). რუსეთის მეზღვაურთა სიტყვით, როჟესტვენსკის ესკადრის ერთს ნაწილს ცუსიმას სიმაგრეებიდან სროლა აუტეხეს. „ოსლიაბია“ ჩაიძირა. 15 მაისს ღამე რუსეთის ესკადრა გაიფანტა, რადგან უთვალავ ნაღმოსნებს მიჰქონდათ იერიში. ღამის სიბნელემ ხელი შეუშალა ისევ შეერთებულიყვნენ.

ტოკიო, 20 მაისი. სასებოში დაბრუნებული ნაღმოსნები როჟესტვენსკის დატყვევებაზე დაწვრილებითს ცნობებს იძლევიან. 14 მაისს, ღამე, ოთხი ნაღმოსანი რუსეთის ესკადრას დაეცა. იერიშმა, რუსეთის ფლოტი გაჰფანტა. 3 ნაღმოსანი მთელს ღამეს დაეძებდა მას. დილით რუსეთის ორი გემი შენიშნეს, ერთი გაუსხლტათ. მეორემ—„ბედოვი“-მ ანიშნა, რომ მანქანები სულ დაფოლებული აქვს, მოკლებულია წყალსა და ნახშირს. იაპონიელებმა შეიარაღებული რაზმი გაჰგზავნეს გემის დასატყვევებლად, რომელზედაც როჟესტვენსკი იმყოფებოდა თავის შტაბით. იაპონიის ნაღმოსანმა „ბედოვი“ უკან გამოიბა, მაგრამ ჯამბარა ორჯელ გასწყდა. ზღვა საშინლად ღელავდა, ტალღები გემის ბაქანს თავზე უვლიდა.

პეტერბურგი. კონტრ-ადმირალი ენკვისტი აცნობებს საზღვაო მთავარ-შტაბს, რომ კრეისერები „ავრორა“, „ოლეგი“ და „ჟემჩუგი“ მანილლას მივიდნენო.

გუნჯულინი, 20 მაისი. თუმცა ჩვენი ხმელეთის ჯარი ჯერ მარჯვედ არის, მაგრამ ზღვაზე დამარცხებამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

მანილა, 22 მაისი. ადმირალ ენკვისტთან მყოფი ოფიცერი იუწყება: როდესაც ბრძოლა დაიწყო, ენკვისტი „ოლეგზე“ იყო. იაპონელებმაც სწორედ ეს გემი ამოიღეს ნიშანში. „ოლეგს“ რამდენიმე ყუმბარა მოხვდა და მალეც დაზიანდა. ენკვისტმა დროშა „ავრორაზე“ გადაიტანა, რომელსაც ამავე დროს თავს დაეცნენ იაპონელთა გამანადგურებელნი და წყალ-ქვეშ მავალი ნავები. ზღვაზე ჯანღი ჩამოწვა. „ავრორამ“ ისარგებლა და გაშლილ ზღვისკენ გასწია. მას გამოუდგნენ „ოლეგი“ და „ჟემჩუგი“. ენკვისტი უვნებლად გადარჩა. „ავრორაზე“ მოკლულია კაპიტანი ეგორიევი, რომელიც მანილაში მოსვლამდე ზღვას მიაბარეს; დაიჭრა აგრეთვე სამი ოფიცერი, 83 მატროსი. მოკლულ იქმნა 20 მატროსი. „ოლეგზე“ მოკლულია 30 მატროსი, დაჭრილია 18, „ჟემჩუგზე“ მოკლულია 20, დაჭრილია 30. გემები, როგორცა სჩანს, ვატერლინიას ქვევით დაზარალებულნი არ უნდა იყვნენ. მილები ტყვით აქვთ დახვრეტილი, რამდენიმე ზარბაზანი გადავარდა. ყველა აფიცრები ამბობენ, რომ რუსის ფლოტი იაპონელთა აუარებელმა წყალქვეშ მავალმა ნავებმა დაჰფანტესო. რუსეთის გემებს იცავენ გემები „ოხიო“ და „ცინცინატი“. ჯერ ოფიციალურად გადაწყვეტილი არ არის, რა უყონ რუსის გემებს.

შანხაი, 22 მაისი. ბრიტანიის გემმა „კიუზლანიმ“ ბუქსირით მოიყვანა რუსის გამანადგური გემი, რომელიც მა-ვეიშანის სამხრეთით უმწეო მდგომარეობაში ენახა. გემზე სამი სხვა გემის კომანდაა.

ჰეილუნჩენი, 22 მაისი (ბერლინით). იაპონიის ცხენოსანთა ორი ბრიგადა, როგორცა სჩანს, რკინის გზას მარცხენა მხრიდან უვლიან. ერთი, ტაკიწურას უფროსობით, მიუძღვის ჯარს მარცხენა მხრივ, მეორე აკიამას უფროსობით—ოკუს რაზმს უძღვის წინ, ესეც მარცხნივაა.

შანხაი, 22 მაისი (რეიტერი). ბუქსირით მოყვანილი გემი ,,ბოდრი‘‘ იუწყება: ექვსის დღის განმავლობაში 181 კაცი, რომლებიც გემის ბაქანზე ვიყავით უსაჭმლოდ და უწყლოდ, ქარისა და წყალთა სვლის ნებაზე დავცურავდითო. ნაღმოსანი დაზიანებულია. კამანდა ვუზუნში მყოფ რუსის სატრანსპორტოზე გადაიყვანეს.

ტოკიო, 22 მაისი (რეიტერი). ადმირალი ნებოგატოვი უარს ამბობს და ხელს არ აწერს იმ პირობას, რომლის ძალითაც ნება არ ექნება იაპონიის წინააღმდეგ კვლავ იბრძოლოს.

პარიზი, 22 მაისი. გაზეთ ,,ტან‘‘-ის მეთაური წერილი ზავის ჩამოგდებას კვლავ აუცილებელ საჭიროებადა სთვლის. მართალია, რუსეთს შეუძლიან დიდხანს იომოს, მაგრამ გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს და ამიტომ მისთვისვე სასარგებლოა, რომ ომი შესწყვიტოსო.

შანხაი, 22 მაისი (რეიტერი). ვუზუნში მყოფ რუსის ტრანსპორტებს იარაღი აჰყარეს. მეზღვაურებმა პირობა მისცეს, იაპონიის წინააღმდეგ აღარ ვიბრძოლებთო.

(ღამის დეპეშა იხილე მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდგან

საზღვაო ბრძოლა. „ბირ. ვედ.“-ს პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ: ეხლა კი საბოლოოდ გამოირკვა, რომ როჟესტვენსკის მთელი ფლოტი, რუსეთის უკანასკნელი იმედი, დაიღუპა. კორესპონდენტების სიტყვით, რუსეთის ესკადრის დაღუპვა იაპონიის ნაღმოსანთა, მატროსებისა და უფროსების საარაკო და არა-ჩვეულებრივ გამბედაობას უნდა მიეწეროს. წინადვე შემუშავებულ გეგმის თანახმად, იაპონიის ნაღმოსნები ორის დღის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდნენ უკვე დამარცხებულ რუსებსა და იერიში იერიშზე მიჰქონდათ. ბრძოლის დროს რუსების გემებს იაპონელებმა ხელადვე დაუზიანეს მანქანები და მოძრაობის ნება არ მისცეს (რ. ვ.).

„რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი ჩირიხოვსკი შანხაიდან იუწყება: პროჟექტორების სინათლემ და ზარბაზნების სროლამ ღამე დღედ აქცია, ცენტრში როჟესტვენსკი იდგა, მარჯვნივ—ფელკერზამი, მარცხნივ—ნებოგატოვი. ტოგოს ესკადრა 5 ვერსის მანძილზე მოუახლოვდა რუსეთის ესკადრას. იაპონელთა 60 ნაღმოსანი წამდაუწუმ ესეოდა რუსეთის ფლოტს, გარშემო უვლიდა და შუაში იმწყვდევდა რუსეთის დაბრუნებულ ესკადრას. ადმირალმა როჟესტვენსკიმ სამჯერ მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, სამჯერ მიესია იაპონელთა გემებისაგან გაკეთებულ რკალსა და მისი გარღვევაც სცადა, მაგრამ ამაოდ: იაპონელებმა ახლოც არ მიუშვეს. ნებოგატოვის ესკადრა ცუდ დღეში ჩავარდა. ნებოგატოვს როჟესტვენსკი მიეშველა, მაგრამ ვერაფერი გაარიგა. „სუვოროვ“-ი ძალიან დაზიანდა. როჟესტვენსკი ნაღმოსანზე გადავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ „სუვოროვი“ ყირამალა გადაბრუნდა და ჩაიძირა. საშინელმა ბრძოლამ რამდენიმე საათი გასტანა. რუსეთის დაქსაქსულ გემებს ყოველ მხრიდან იაპონელები ეხვევიან. ფელკერზამის რაზმი იღუპება. რუსეთის დაზიანებულ გემებს ტოგო იაპონიისკენ აწევება. საბოლოოდ გამოირკვა, რომ როჟესტვენსკის თითქმის მთელი ესკადრა დაიღუპა. ამ უბედურ ბრძოლის აწერა დაწვრილებით მეძნელება (რ. ს.).

„რუს. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: „როჟესტვენსკის ესკადრა თითქმის მთლად

ფელეტონი

ჩვენი სოფელი

მე სოფლელი ვარ და აზროვნებაში, აბა, ქალაქელს სად მოგყვები. ამას გარდა, დიდი ხანი არ არის, რაც ენა ამოვიდგი და ახლად ენა-ამოდგმულს არც ისე ბევრი მოეთხოვება.

ყოველ მხრიდან იწერებიან: სოფელი გამოფხიზლდა, საღათას ძილს თავი აართვა, დიდი ხნის მუნჯმა ახადა საცო თვისთა ბაგეთა და თამამად პური და სამართალი მოითხოვაო. აქ საკვირველიც არა არის-რა. ისე დიდი იყო სოფლის შევიწროება, ისე ხარბად დასწაფებოდნენ სოფლის დაოსებულ სხეულს სხვადასხვა ჯურის მხვრელ-მძოვნელები, რომ სოფლის მოთმინებაც, რაც უნდა საზღვარ-დაუდებელი ყოფილიყო იგი, სადმე უნდა გაწყვეტილიყო და გაწყდა კიდეც. მოთმინებას, მორჩილებას ჩვეული მონა ალაპარაკდა, მრავალტანჯული იობი, რომელსაც შრომის შვილს ვეძახით და რომლისთვისაც მართლა ჯოჯოხეთურ შრომის გარდა კაცს არაფერი ემეტება, წელში გაიმართა, დაიხედა წყლულებზე, თვალი გაუსწორა ამ წყლულებზე მისეულ ჭიაღუებს, მუშტი მოუღერა და ძლიერად შესძახა: გეყოფათ ამდენი ხვრა-ძოვნა, მეც ადამიანი ვარ და ჩემს ადამიანურს უფლებას ადვილად არავის გაგაქელვინებო. ამ ხმაზე შეკრთა ჭიაღუაც, მიიხედა ჰაერში ძლიერად ამართულ მრავალტანჯულ იობის მუშტისაკენ და ისინიც თავის უნებურად თავისუფლებაზე აწრიპინდნენ. „მართლა და იობიც კაცია, ამასაც ადამიანური ცხოვრება უნდაო“,—იმეორებენ ისინი და მათ ბანს აძლევს ყოველი სულდგმული, ყოველი ქვემძრომიც კი. თვით ხალხის ხვრა-ძოვნაში დაინტერესებული კლასებიც დღეს ხალხის მოსარჩლედ გამოდიან და მუხრუჭის მოშვებას თხოულობენ. კრება კრებას მოსდევს და, რაც უნდა კონსერვატიული იყოს იგი, მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ არსებულ პირობებში სულის მობრუნება ყოვლად შეუძლებელი არისო. თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ფაბრიკანტები, ექიმთა საზოგადოება, ნაფიც ვექილთა კრებული, ერთის სიტყვით, საზოგადოების ყოველი შეძლებული ნაწილი პეტიციებს ადგენს და ძირითად რეფორმებს თხოულობს, ყველა, ნებსით თუ უნებლიეთ, განახლების მომხრეა, მაგრამ ისინი, ვინც თავისდა უნებურად მივიდა ამ დასკვნამდის, ვინც მხოლოდ გამოფხიზლებული მოძმის ხილვამ, ხალხის შეგნებულმა მოძრაობამ გახადა თავისუფლების მომხრედ, იმის გამოცნობასაც ცდილობენ, თუ საიდან მოვიდა ეს შეგნება. „ვინ აუხილა ხალხს თვალი? ვინ შეანძრია ეს მდორე ცხოვრება და მით მყუდროება მოგვისპო? ეს ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობა, ეს კლასობრივი ანტაგონიზმი არის თუ რაღაც ჯანდაბა, განა წინად არ იყო? იყო, მაგრამ ჩვენ და ხალხი მაინც ძმურად ვცხოვრობდით. მოსავლის ნახევარს დავიტოვებდი თუ სამ წილს, მუშა მაინც კმაყოფილი იყო. სულაც რომ არაფერი მიგვეცა, საყვედურს ვერ გვიბედავდა. ეხლა რა მეხი დახეთქიათ თავზე? ვინ აგვიჯანყა კარის მეზობელი, ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე? ვინ მოგვისია ეს ჩვენი უმცროსი ძმები--გლეხები?“ ეკითხებიან თავის თავს და გაფაციცებით დამნაშავეს დაეძებენ. შედეგი ამ მეცადინეობისა ცხადია...

თუ თავისუფლებას, ძმობა-ერთობის მოძღვრებას ამდენი მომხრე ჰყავს, რას ნიშნავს ეს რეპრესიული ზომები, ჩვენისავე მეცადინეობით ამ უმცროსი ძმის თავზე მოწეეული? რას ნიშნავს ეს მწერლობისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ გალაშქრება? რას ნიშნავს ამდენი სისხლის ღვრა და შავი რაზმები? რას ნიშნავს ამდენი გამცემლობა და გადაჭარბებული მეცადინეობა თავისუფლების მოტრფიალეთა, ამ ძმობა-ერთობის მქადაგებლების აღმოსაჩენად მიმართული? რას ნიშნავს ამდენი ხელებ-გათოკილი ციხისკენ დასდასად მიმავალი მცირე(?) მოძმეთა გუნდები, რომელთაც სტრაჟნიკები ამ სიტყვებით მიერეკებიან: «ჰმ... შეიტყეთ, რომ მოუკვდა მამა ერთობას, თქვენი ერთობა ამ მათრახის კუდზეა გამოსკვნილიო“. რან ნიშნავს ყველა ეს? ვეკითხები ჩემ თავს და პასუხად მათრახის ზუილი და გვემულ მოძმეთა კვნესა-ღა მესმის. სხვამ რაც უნდა სთქვას და მე კი, თუნდაც რომ გადაჭარბებულ პესიმისტობაში ჩამიმართვათ, მაინც ასე ადვილად ვერ ვირწმუნებ თავისუფლების მომხრეობას იმათგან, ვინც საუკუნოების განმავლობაში ძალმომრეობაზე აგებდა საკუთარ ბედნიერების შენობას, არც იმათი, ვინც მხოლოდ სხვისი შევიწროებითა და გაყვლეფით იბრუნებდა სულს. თვალ-ახელილი გლეხკაცი კარგად ხედავს თავის ჭირისუფალს, ძლიერ კარგად იცნობს მისთვის ხელსაყრელ მოძღვრების იდეოლოგებს, ხალხის სიმპატიაც სავსებით ამ ახალგაზდათა ჯგუფისკენ არის და, თუ ოდესმე მშრომელ უმეტესობისათვის გამოიდარა, არც ისე უმადური დარჩება უკანასკნელი, რომ თავის გულში საუკუნო სახსოვარი არ აუგოს თავიანთ მხსნელს. რაც შეეხება თავისუფლების შესახებ დაწერილს პეტიციებს, ადრესებსა და ზიზილპიპილით მორთულ-მოკაზმულ მჭევრმეტყველებს, ყოველსავე ამას საქმიანობის ნიშან-წყალი არ ეტყობა და სანამ სიტყვას საქმე არ მოჰყოლია, მთელი ეს ფრაზეოლოგია მხოლოდ ახალი ჯურის გაყვლეფა არის, სხვისგან გამოწვეული მოძრაობის ექსპლოატაცია, სხვისი ხელით ნარის გლეჯა და სხვა არაფერი.

აბა, ჩვენი დაბერებული ბიუროკრატია ლიბერალებთან რა მოსატანია, მაგრამ ისიც კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებულ პირობებში დარჩენა შეუძლებელია, ისიც ცდილობს განახლებას და ერთ ფაციფუცშია: სდგება მთელი ლეგიონი კომისიებისა, საბჭოების, სათათბირო ორგანოების, იცვლება ერთი სამინისტრო მეორეთი, ინიშნება ერთი მოხელის ადგილას მეორე, სულ ახალ-ახალი უფლებებით აღჭურვილი, ერთის სიტყვით, ბიუროკრატიული მეხანიზმი დიდ მოძრაობაშია და, შჩედრინის პომპადურებისა არ იყოს, ბიუროკრატიულ შენობის იატაკის ფიცრებს ხან აქეთ უშერება თავს და ხან იქით, ცდილობს განახლებას, მაგრამ ისე კი, რომ ძირითადი თვისებანი უცვლელად შეინარჩუნოს. ამ შემთხვევაში იგი ხანგადასულ გასათხოვარ ბებრუხანას მოგაგონებს, რომელიც, რაც უფრო იგლისება ფერ-უმარილით, მით უფრო მეტ ზიზღს იწვევს მნახველებში და საქმროებიც ფრუტუნით აქეთ-იქით გაურბიან. ვეჭვობ, რომ ამგვარი საშუალებით ხანგადასული ბიუროკრატია ფონს გავიდეს, გადახალისდეს და საქმროს მიაგნოს, მით უმეტეს თუ ეხლანდელ მაჭანკლების ანაბარა დარჩა. მე მოგახსენებ იმ მაჭანკალზე, რომელსაც მოხელეს ვეძახით და რომელიც ბიუროკრატიის-მიერ შექმნილ კანონების აღმასრულებელი არის, ხალხში გამტარებელი. ყველა დამეთანხმება, რომ ეხლანდელ მოძრაობის გამოწვევაში არც ესენი არიან უბრალონი, თუ ეს ვისმე დანაშაულად ჩაეთვალა. თუმცა ხალხის გამოფხიზლება ამათ აზრადაც არ ჰქონებიათ, მაგრამ ხალხის მოთმინების ძაფის გაწყვეტაში კი დიდი წილი უდევთ. დიაღ, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში თვით არსებული კანონების აღმასრულებელთ და ჩემი წერილის საგანიც ის არის—ამათკენ მივაქციო ამჟამად მკითხველის ყურადღება.

ვინ არ იცის, რომ კანონი, რაც უნდა კარგი იყვეს, ვნების მეტს ვერაფერს მოიტანს, თუ მისი ამსრულებელი უკუღმა ფარცხავს; ამასთან ვინ არ იცის, რომ ჩვენებური უბრალო წვრილი მოხელეც კი პატარა თვითმპყრობელად სთვლის თავის თავს, ყოველის ღონისძიებით კანონებს გვერდს უქცევს, საკუთარის შეხედულობით ხელმძღვანელობს და კანონიერების ნაცვლად საკუთარ თვითნებობას ასაღებს, მით უმეტეს თუ ამ პატარა თვითმპყრობელს ქვეშევრდომთა შეუგნებლობა, მათი გონებით სიბეჩავე ხელს უწყობს. ამის დასამტკიცებლად საკმაო არის მოვიგონოთ, თუ რამდენათ ღონიერი იყო სულ რამდენიმე წლის წინად ყველაზე წვრილი მოხელე—სოფლის ნაცვალი (ПОМОЩНИКЪ СТАРШИНЫ), რომელსაც ბიუროკრატიულს კიბეზე დაბლა არავინ ყავდა. ამგვარ მოხელეს თუ ორიოდ კომლი გლეხი ებარა თავის სამსახურის გასაადვილებლად და უფრო კი საკუთარის ჯიბის გასასქელებლად, სამოცი უფრო შეძლებული მოსახლე ყოველთვის აზატად ყავდა და სოფლის ყოველგვარ საბეგრო მოვალეობას: სასოფლო გზის კეთებას, სოფლის სასამართლოში მორიგეობას, გზად გამვლელის ჯარის ბარგის გადატანას და სხვებს დანარჩენ ორმოც კომლს, უფრო პოგანო გლეხებს ასრულებინებდა. გაივლიდი თუ არა სასოფლო გზაზე, ყოველთვის ძონძებში გახვეულ სოფლის პოგანო გლეხებს ნახავდი, სიმშილით არაქათ გამოლეულებს. თუ იმის გაგებას მოისურვებდი, რატომ ეს საწყლები ვისმე არ შესჩივლებენ თავის მდგომარეობაზეო, პასუხად ამას გეტყოდნენ: საჩივრის შეტანა ბარემ ადვილი არის, მაგრა ორი წელიწადი კიდევ დარჩა ახალს არჩევნებამდის და ამ ხნის განმავლობაში სადმე უნდა გავიხიზნოთო. მოდიოდა არჩევნებიც. ნაცვალი სოფლის უფრო შეძლებული, გააზატებული გლეხების დახმარებით, უფრო კი ბოქაულის შემწეობით, რომელსაც საარჩევნო უფლების გადალახვა არც ისე ეძნელებოდა, არჩევნებში გამარჯვებული გამოდიოდა და იმ პოგანო გლეხების შევიწროვებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა, სანამ განგება არ შეიბრალებდა და თვითნება მოხელეს არ დაიბარებდა ,,წიაღსა შინა აბრაამისასა‘‘.

თუ ამდენი საქმე შეეძლო იმ ქონდრის კაცს რომელსაც სოფლის ნაცვალი ჰქვიან, რის შემძლებელი იქნებოდა რომელიმე ბოქაული, ან იმაზე უფრო დიდი მოხელე! გაიხსენეთ რა ზრიალ-წრიალი ადგებოდა სოფელში, როცა ხმა გავარდებოდა, რომ ადგილობრივი საპოლიციო განყოფილების ბოქაული მობრძანდებაო. მაგრამ უკაცრავად მკითხველთან, რომ წარსულისკენ ვუთითებ, როცა ამწყო უფრო შემზარავ სურათს წარმოადგენს, უფრო მეტს ძალმომრეობისა და თვითნებობის მაგალითს იძლევა. ნათქვამია: ყოველ მოქალაქის თავისუფლება იქ თავდება, საცა მეორე მოქალაქეს თავისუფლება იწყებაო, და აბა, მკითხველო, ძალა დაატანე შენს თავს და წარმოიდგინე, თუ სად აქვს დასასრული შენს თავისუფლებას და სად იწყება ამა ქვეყნის ძლიერთა უფლებით აღჭურვილ მოხელეთა თავისუფლება. თქვენი რა მოგახსენო და ჩემს თავისუფლებას არსად არა აქვს დამაწყისი და, რასაც თავი არა აქვს, ბოლო აბა როგორ მოვუნახო. ძილი რაა, ძილი, ისიც კი ჩემს ნებაზე არ შემიძლია და რომელიმე ძვირის-მყოფელის ენატანიობა საკმაო არის, რომ შუა ძილში თავზე დამეცენ და ჩემი საწყალი ქოხმახი, ეს ტანჯული სულის ერთად ერთი ნავთსაყუდელი თავზე დამაქციონ, ძირიან-ბუდიანად გადმოატრიალონ. ხოლო, თუ ათასში ერთხელ ბედმა გამიღიმა და დღის შთაბეჭდილებით განაწამებმა ღამე მშვიდობიანათ გავატარე, გავახელ თუ არა თვალებს, მაშინვე ადგილობრივ მოხელეთა შეუზღუდველი თავისუფლება ამეტუზება წინ და მისგან ნაჩვენებ კალაპოტში მაყენებს. არ შემიძლია ჩემს ნებაზე არც ლაპარაკი, არც სიარული, არც ნება, არც კითხვა, არც ფიქრი, არც სიცილი, არც ტირილი, ყოველივე ეს ჩვენი მხრის ურიადნიკის შეხედულობას უნდა შევუფარდო და, რაც შეეხება საქმიანობას, ამას ხომ ყოველთვის „რაზრეშენიე“ უნდოდა და უნდა! რაც ვუფრო უყუჩე, მით უფრო გათამამდა ჩემი პატრონი-ურიადნიკი და იქნამდის მივიდა, რომ ღვთისგან ბოძებული ჩემი სიცოცხლე თავის შეხედულობას დაუქვემდებარა: უნდა დამარჩენს, უნდა გამაქრობს და, ასე გასინჯეთ, ამაში პასუხსაც არსად აგებს. თუ ჩემი არა გჯერათ, აბა თვალი გაავლეთ მრავალ-ტანჯულ ჩვენს სამშობლოს, რამდენი ყელგამოჭრილი აბელი ნახოთ, რამდენი კაენი სიამაყით ატრიალებს ხელში ძმის სისხლით შეღებილს დანას.

განადგურდა. ზოგი ჯავშნოსანი დაიღუპა, ზოგი იაპონელებმა წაიყვანეს და რუსეთის დროშის მაგივრად ამ გემებზე ამომავალ მზის ქვეყნის გამარჯვებული ბაირაღი ააფრიალეს. აგერ 300 წელიწადია, რაც ამისთანა საშინელი დამარცხება მთელს ქვეყანას არ უნახავს. პირველი ადგილი უჭირავს ინგლისელების მიერ განადგურებულ ესპანიის „დიდ არმადას“, რომელიც ფილიპე II-მ ინგლისის დასაპყრობად გაჰგზავნა; მეორე ადგილი კი როჟესტვენსკის ესკადრას უნდა დავუთმოთ. თვით ტრაფალგარიც ვერ შეედრება ცუსიმას: მაშინ ინგლისის ადმირალმა ნელსონმა საფრანგეთის ფლოტის ორი მესამედი დაღუპა, ტოგომ კი რუსეთის ესკადრა თითქმის მთლად აღგავა დედა-მიწის პირიდან. ტოგომ ერთის იერიშით გაათავა საზღვაო ომი და იაპონიის ესკადრა დიდის ხნით გაბატონა შორეულ აღმოსავლეთის ზღვებში.

ამისთანა სამარცხვინო და უმაგალითო დამარცხების შემდეგ რუსეთის ყოველი გულწრფელი პატრიოტი მხოლოდ ერთ ფრაზას-ღა უნდა იმეორებდეს: „ზავი, ზავი აუცილებლად, თუნდა ძვირადაც დაგვიჯდეს იგი“. კმარა აუარებელი სისხლი და ცრემლი! (რ. ვ.)

იაპონიის ადმირალები. „ნაშა ჟიზნ“-ის სამხედრო მიმომხილველის გამოკვლევით, ცუსიმას ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ: იაპონიის მთელის ფლოტის სარდალი და პირველ ესკადრის უფროსი ვიცე-ადმირალი ტოგო და მეორე ესკადრის უფროსი ვიცე-ადმირალი კამიმურა; ტოგოს ესკადრას უფროსობენ: ჯავშნოსანთა რაზმის უფროსი კონტრ-ადმირალი ნაშიბა და კრეისერთა რაზმის უფროსი კონტრ ადმირალი დევა. ვიცე-ადმირალის კამიმურას ესკადრას უფროსობენ: ჯავშნოსანთა რაზმს—კონტრ-ადმირალი მიზუ და კრეისერთა რაზმს—ვიცე-ადმირალი ურიუ. გარდა ამისა, ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ვიცე ადმირალის კატაოკას მესამე ესკადრამ, რომელიც უფროსობს კონტრ-ადმირალის ტოგოსი (მეორე), იამადასი და ხოსოიას ესკადრებს. ამრიგად, ცუსიმას ბრძოლაში იაპონიის ფლოტს უფროსობდნენ ადმირალები ტოგო, ნაშიბა, დევა, კამიმურა, მიზუ (დაიჭრა), ურიუ, კატაოკა, იამადა, ტოგო, ხოსოია, შიბუია და სხ. (ნ. ჟ.).

„ალმაზი“-ს მისვლა ვლადივოსტოკში. „რუს“-ს ვლადივოსტოკიდან დეპეშით ატყობინებენ: დილით ნავთსადგურში დაზიანებული კრეისერი „ალმაზი“ შემოვიდა და ქალაქსა და ციხეს ზარბაზნების სროლით მოესალმა. კრეისერმა „როსსიამ“ და ციხის ფორტებმაც ზარბაზნების გრიალით გასცეს პასუხი. რა ხდებოდა ამ დროს ქალაქში—აუწერელია: აუარებელი ხალხი იდგა ნაპირზე, ქუჩებში, მთებზე; ყველა მორბოდა, ირეოდა და „ურას“ ყვიროდა. მთელი ქალაქი გამოცოცხლდა. მერე კი, როცა რუსეთის ესკადრის ბედი შეიტყეს, სურათი ხელადვე გამოიცვალა (რ.).

პირველი ოფიციალური ცნობა საზღვაო ბრძოლის შესახებ. დეპეშებიდან ვიცით, რომ ორის დღის განმავლობაში იაპონიის მთავრობა საზღვაო ბრძოლის შესახებ ხმას არ იღებდა, ხალხი კი მოუთმენლად ელოდა ბრძოლის შედეგს და იტანჯებოდა. ბოლოს, 16 მაისს, დილით იაპონიის მთავრობამ მხოლოდ შემდეგი ცნობა გამოაცხადა: „ადმირალ როჟესტვენსკის ფლოტი თითქმის მთლად განადგურებულია. ჯერჯერობით დაიღუპა და დატყვევებულ იქმნა 16 გემი“. (რ.).

უცხოეთის პრესის აზრი ომისა და ზავის შესახებ. ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის დამარცხებამ რუსეთს სამუდამოდ მოუსპო გამარჯვების იმედი. რომ რუსეთი ველარ გაიმარჯვებდა, ეს ყველა შეგნებულ და შორსმჭვრეტელ კაცისთვის ცხადი იყო, მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიამ ერთხელ კიდევ სცადა ომის ბედის მობრუნება და... უკანასკნელი იმედი გაუცრუვდა. „მატენი“ სწერს: კმარა, რაც რუსეთის ბიუროკრატიამ იკერპა და მთელი სახელმწიფო უფსკრულის კიდემდის მიიყვანა. ეხლა თავის მოტყუება შეუძლებელია.

„პტი პარიზიენ“-ის აზრით, სახიფათო იქნება, თუ რუსეთის მთავრობამ ახლაც არ აღიარა თავისი სრული გაკოტრება და იაპონიისთვის სამაგიეროს გადახდა ისევ მანჯურიაში მოინდომა.

„ჟურნალ“-ის აზრით, რუსეთის ფლოტმა თავის უკანასკნელი მოქმედება ცუსიმას კუნძულთან ითამაშა და საშინელი საზღვაო დრამაც იქ გათავდა.

რა დაუჯდა რუსეთს 16 თვის ბრძოლა? რუსეთის ოფიციალურ ცნობებით, შახეს ბრძოლაში მოკვდა და დატყვევებულ იქმნა 45 ათასი კაცი, პორტ-არტურში—45 ათასი, ლიაოიანთან—25 ათასი, ხაიჩენთან—15 ათასი, ვაფანგოუსთან—4 ათასი (ნამდვილად კი—7 ათასი), სხვადასხვა ქედებზე—3 ათასი (ნამდვილად გაცილებით მეტი), ტიურენჩენთან 2400, სხვადასხვა წვრილმან ბრძოლებში—5 ათასი, საზღვაო ბრძოლებში (უკანასკნელ ბრძოლის გარდა)—10 ათასი, სანდეპუსთან 10 ათასი (ნამდვილად 20 ათასამდე იყო), მუკდენთან—175 ათასი, ბრძოლის ველიდან წამოვიდა—115 ათასი, სულ 450 ათასი. ამ რიცხვს უკანასკნელ ბრძოლაში დაღუპული 12 ათასი და ზოგიერთა ბრძოლის ნამდვილი ზარალი რომ მივუმატოთ, გამოვა, რომ 16 თვის განმავლობაში ომი რუსეთს 500 ათასზე მეტ მსხვერპლად დაუჯდა.

ფულად ეს ომი (როჟესტვენსკის ესკადრის ფასიც რომ ვიანგარიშოთ) რუსეთს 3 ათას მილიონ მანათზე ნაკლები არ დაუჯდა (რ. ვ.).

ახალი ამბავი

17 მაისს, საღამოს, **ქუთაისს ჩამოვიდა კავკასიის დროებითი სამხედრო სასამართლო.** 18 და 19 რიცხვებში, აუარებელ ხალხის თანადასწრებით, სასამართლომ გაარჩია იმ პირთა საქმე, რომელთაც 18 მარტს ქუთაისის სადგურის უფროსის თავდასხმა ჰბრალდებათ. ბრალდებულთ ადეიშვილს, ებრაელიძეს, კვირკველიასა და ჯაიანს იცავდა ნაფიცი ვექილი დიდია. ბრალდებულებმა გულწრფელად აღიარეს თავიანთი დანაშაულობა და სთხოვეს სასამართლოს: სიკვდილით ნუ დაგვსჯითო. დამცველმა წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ ლამაზი და მეტის-მეტად გრძნობიერი სიტყვა, და ამანაც სთხოვა სასამართლოს, დამნაშავეთ სიცოცხლე აპატიეთ, რადგანაც სინდისიერად აღიარეს თავისი შეცდომაო. ოთხსავე დამნაშავეს სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, თუმცა ამასთანავე დაადგინა: იშუამდგომლოს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, როცა დასჯილებს ჩამოხრჩობა უვადო კატორღით შეეცვალოთო.

✦ ტფილისის საოლქო სასამართლოს **სესიამ დ. შულავერში განიხილა საქმე სოფ.** დიდგომარეთის ყოფილ მასწავლებლის სალარიძისა, რომელსაც მომრიგებელ შუამავლის ენიკოლოფოვის წინააღმდეგობა ბრალდებოდა. სასამართლომ სალარიძე გაამართლა. ვექილად იყო ი. ბარათაშვილი.

✦ დუშეთის სამაზრო ადმინისტრაციას გრემისხეველ გლეხების დასამშვიდებლად, რომელნიც მოთავე გლეხებს პოლიციას არ აძლევდნენ, **გაუგზავნია კაზაკთა ასეული.** სამი მოთავე უკვე შეუპყრიათ, ხოლო მეოთხე—ნაჩაფრალი ნიკა ბუზალაძე გაჰქცევიათ.

✦ დუშეთის მაზრიდან გვატყობინებენ, 18 მაისს, სოფ. ჭილურტის გლეხებსა და ადგილობრივ მემამულის იოსებ ფარეშიშვილს **დიდი ჩხუბი მოსვლიათ.** ჩხუბის დროს მძიმედ დაჭრილა თვით მემამულე და რამდენიმე გლეხი. ჩხუბი იმ ტყის გამო ატეხილა, რომელსაც გლეხები თავის საკუთრებად სთვლიან. ფარეშიშვილს მათ დაუკითხავად ამ ტყეში შეშა მოუჭრია.

✦ 18 მაისს, საღამოს 6 საათზე, **ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოდან გაიქცა სამი ტუსაღი:** შარაბიძე, მოროქკო და სიჭინავა. პირველს მისჯილი ჰქონდა თორმეტის წლით კატორღა, მეორეს—6, ხოლო მესამეს ჰბრალდებოდა ფოთის ნავთსადგურზე თავდასხმა. იმათ გაარღვიეს საპყრობილის სამზარეულოს კედელი და არხეინად გაუდგნენ გზას. მათი ასავალ-დასავალი ჯერ არავინ იცის.

✦ დ. ხონიდან გვატყობინებენ: **19 მაისს, სოფელ გუბში, დაკრძალეს** ქუთაისის გუბერნიაში მრავალ კოოპერატიულ საზოგადოებათა დამაარსებულის, ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის გამგე-დირექტორის ნესტორ წერეთლის გვამი. მიცვალებულის კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა, რომლებიც უძღვნა სოფლის მუშა ხალხმა გვირგვინთა რიცხვი 30 იყო, სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს ბ-ნ ნიკო თავართქილაძემ, ილია ბახტაძემ, ბართლომე მოსეშვილმა, მასწავლებელმა ბახტაძემ და ბ-ნ ჩიკვინიძემ.

დასაფლავებას დაახლოვებით 6 ათასამდე კაცი დაესწრო.

✦ 16 მაისს განჯაში ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები მოხდა. **არჩეულ იქმნა 50 მაჰმადიანი და 5 სომეხი.**

✦ გუშინ, 23 მაისს, ქალაქის გამგეობაში უსახელო საზოგადოების წარმომადგენლებმა **სამედიატორო სასამართლოზე უარი განაცხადეს,** მოსამსახურეებს პირადად მოველაპარაკებითო.

✦ ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, პარასკევს 20 მაისს, სოფლებ რატევანსა, კვებსა, ღალარსა და წუნეთში (ასმალარი) **საშინელი სეტყვა მოვიდაო.** სეტყვა, რომელიც თურმე თითო ნახევარ გირვანქას იწონიდა, ოთხ გოჯზე დაუდვია და ნიაღვარს მთელი მიდამოები წაულეკია. ყველაზე მეტი ზარალი მოსვლია გერმანელების ვენახებს და თავ. მამუკა ორბელიანის მამულს. სეტყვა ყოფილა ღამის 1 საათზე, ისე რომ ხალხი და საქონელი გადარჩენილა, სამაგიეროდ სეტყვას დაუხოცნია აუარებელი ფრინველი და ბევრი კურდღელი.

✦ ტფილისის გუბერნატორმა **ნება დართო „ქართველთა შორის** წერა-კითხვის გამავრცელებელ **საზოგადოებას“ საქველმოქმედო ბაზრის გამართვაზე.**

✦ მეეტლეთა საჩივრისა გამო ქალაქის **გამგეობამ დაადგინა:** შეეკითხოს პოლიცმეისტერს რა კანონის ძალით აწევთ მეეტლეებს ბეგარად ლოთებისა, დაჭრილებისა, პოლიციელთა და სხვათა ეტაპით უფასოდ გადაყვან-გადმოყვანა.

✦ მემკვიდრის დაბადების გამო, **ქალაქის გამგეობამ დაადგინა** 425 კომლს ქალაქის მცხოვრებს ეპატიოს შეფასებით გადასახადი 10,905 მნ. 63 კაპ.

✦ გუშინ, 23 მაისს, ტფილისის უსახელო საზოგადოების დირექციისა და 2 მოსამსახურეთა-მიერ არჩეულმა **სამედიატორო სასამართლომ დაიწყო თვისი მოქმედება.**

✦ კვირას, 22 მაისს, ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში გაიმართა **საღამო ტფილისის გიმნასტიურ საზოგადოებისა.** გიმნასტიურ ვარჯიშობაში იღებდა მონაწილეობას სულ 23 კაცი, სხვადასხვა პროფესიისა; ყველაზე კარგად შესრულებულ იქმნა ხმლებით კენჭაობა; საღამოს კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე ბ-ნი სულთანკრიმ-გირეი დაესწრო.

✦ ტფილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში დამთავრდა ეგზამენები. წელს **კურსი დამთავრა** სულ 49 ქალმა, მათ შორის ქართველი ცამეტია. ვერცხლის მედალი მიიღო თინათინ ჯორჯაძემ.

✦ კვირას, 22 მაისს, კავკასიის საქალებო ინსტიტუტში **მოხდა წლიური აქტი,** რომელზედაც, გარდა მოწვეულ პირთა, დაესწრო კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. სწავლა დაამთავრა სულ ოცდაათმა ქალმა. ამათში 19 რუსია, 4 სომეხი, 1 გერმანელი და 6 ქართველი: აბაშიძე თამარ, ანჩაბაძე თამარ (შიფრით), გურგენიძე მარიამ, ყარანგოზიშვილი ალექსანდრა, მაჩაბელი ნინო და რატიშვილი მარიამ. 29 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ამ სასწავლებელში კენჭი უნდა უყარონ სახელმწიფო და კერძო სტიპენდიებზე მისაღებად. თავისუფალი სტიპენდია სულ შვიდია: 4 ადგილობრივ მკვიდრთა შვილებისათვის და 3 რუსებისთვის. მთხოვნელი 135-ია.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო 5 ივნისისათვის **ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საგანგებო კრების მოწვევაზე.**

✦ „კავკაზს“ პეტერბურგიდან **დეპეშით ატყობინებენ:** ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი ზავიალოვი დაინიშნა ყაზანის სამოსამართლო პალატის წევრად; ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი ლეკვეიჩი—სმოლენსკის ოლქის სასამართლოს წევრად. სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი გეორგიზონი.

✦ ვლ. ალექსი-მესხიშვილი ტფილისის დასთან ერთად **წარმოდგენების გასამართავად ხვალ, 23 მაისს მიმგზავრება.**

✦ 2 მაისს, ტფილისის სადგურზე, ღამის 1 საათზე, მანევრების დროს მეისრემ დაკით კობახიძემ ვაგონებს შუა მოაყოლა მარჯვენა მკლავი და დაიშავა.

✦ სად. სკრა. 22 მაისს, ღამის 11 საათზე, ვიღაც ექვსმა შეიარაღებულმა ბოროტ-გამზრახველმა რკინის გზის ლიანდაგის დარაჯს მე-215 ვერსზე სადარაჯოს კარი გარედან გადაუკეტა და შემდეგ ლიანდაგზე რამდენიმე ქვა დააწყო და მიმალა. ამ დროს გამოიარა სახალხო მატარებელმა № 1. მემანქანემ ქვები შენიშნა და მატარებელი დროზე გააჩერა.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით 22 მაისიდან სახალხო მატარებელი № 18 და № 3 თითო წუთს გაჩერდება ხოლმე მე-301 ვერსზე, **სადაც ომში დაჭრილთათვის საავადმყოფოა აგებული.**

✦ სატექნიკო სასწავლებელში კურს დამთავრებულმა თექვსმეტმა კაცმა **სთხოვეს ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს**—დროებით ზაბაიკალის რკინის გზაზე გაგვგზავნეთო.

✦ სად. ახტალა (ყარსის გზა) 22 მაისს ნაშუადღევის 1 საათსა და 20 წუთზე **საქონლის მატარებელი** № 420 მე-96 ვერსზე **ლიანდაგს გადასცდა** და დაამტვრა სამი ვაგონი, ხალხი არ დაშავებულა.

✦ კვირას, 22 მაისს, ერევნის მოედანზე, ღამის $11^{1}/_{2}$ საათზე, ელექტრონის ერთი ვაგონი ისე ღონივრად დაეჯახა მეორეს, რომ ორთავე სულ მთლად დაილეწა. ვაგონები ცალიერები იყო.

✦ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, სოფ. კანტეხევში რაშიდ-ალი-ოღლის მოუკლავს მწყემსი ადამ-ალი-ოღლი, ჩემ მიწაზე საქონელს რად აძოვებო.

✦ ქალაქის ლომბარდში ამ რამდენიმე ხნის წინად მოიპარეს ძვირფასი ნივთი, რომელსაც რამდენიმე ბრილიანტი ამოაცალეს და ისევ უკან მოიტანეს. ბრალი ერთ მოსამსახურეს ედებოდა. ახლა ლომბარდის გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას ამ ნივთის შესაკეთებლად 300 მანეთია საჭირო და მოგვეცითო. გამგეობამ ნება დართო ამ თანხის გაღებაზე იმ პირობით კი, რომ ეს ლომბარდის ზარალში ჩაიწეროს.

✦ ქალაქის გამგეობამ განიხილა თხოვნა დ. ჯიჯავაძისა, რომელიც ნავთლუღში ერთ დესეტინა მიწის ნაჭერს თხულობდა, იმ პირობით, რომ ზედ აგურხანა აეშენებინა. ჯიჯავაძე ქალაქს დაჰპირდა ათ შაურ ნაკლებ დაგითმობთ 1000 ცალ აგურსაო. გამგეობამ დააკმაყოფილა ჯიჯავაძის თხოვნა.

ქუთაისის ცხოვრება

საქალაქო სასწავლებელთა მასწავლებლების მოთხოვნილებანი.

სხვებს არც ქუთაისის პირველდაწყებითი საქალაქო სასწავლებელთა მასწავლებლები ჩამორჩნენ და ქალაქის გამგეობას ვრცელი მოთხოვნები წარუდგინეს. მასწავლებელთა მდგომარეობისა და საზოგადოდ სწავლა-აღზრდის საქმის უკეთესად დასაყენებლად ისინი საჭიროდ სთვლიან, რომ:

1) შემოღებულ იქმნას ყველასათვის სავალდებულო პირველ-დაწყებითი უფასო სწავლა.

2) საგნებს უნდა ასწავლიდნენ სამშობლო ენაზე (რუსული ენა უნდა დარჩეს ერთ-ერთ სავალდებულო საგნად).

3) ყოველი ტიპის სკოლა უნდა შეთანხმდეს ისე, რომ უმაღლესი საზოგადო განათლების სკოლები შეადგენდნენ უმდაბლესი ტიპის სკოლების პირდაპირს გაგრძელებას.

4) სხვადასხვა სასკოლო კითხვების განსახილველად უნდა დაწესდეს თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, ყრილობისა და კრებისა.

5) ნიჭ-ნაკლებ ბავშვებისათვის დაარსდეს სპეციალური სკოლები.

6) ნება მიეცეთ კერძო პირთა და საზოგადო დაწესებულებათ, დაუბრკოლებლად დააარსონ ხოლმე სკოლები, სამკითხველოები, კურსები, მართონ სახალხო კითხვები სამშობლო ენაზე და, საზოგადოდ, აარსონ ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც მიზნად აქვთ საზოგადო განათლება.

7) ის სასწავლებლები, რომელთაც ქალაქი თავის ხარჯით ინახავს, ან შემწეობას აძლევს, უნდა სრულიად ექვემდებარებოდეს ქალაქის თვითმართველობას.

8) უნდა დაწესდეს გაკვეთილების ნორმალური რიცხვი. სასწავლებელთა გამგეთ უნდა ჰქონდეთ კვირაში 12 გაკვეთილი, მასწავლებელთ კი—ქალები იქმნებიან ისინი თუ კაცები—არა უმეტეს 18 გაკვეთილისა კვირაში.

9) შემცირდეს სადვთო-სჯულის გაკვეთილების რიცხვი (თითო კლასში უნდა იქმნეს კვირაში თითო გაკვეთილი) და ამ საგნის მასწავლებლად დაინიშნონ მხოლოდ საერო პირნი, რომელთაც თითო საათიანს გაკვეთილში უნდა ეძლეოდეთ ჯამაგირად 35 მანათი.

10) დაარსდეს ქუთაისის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა საზოგადოება (კორპორაცია).

11) მასწავლებელთა ამ საზოგადოებას ნება მიეცეს აირჩიოს დეპუტატები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის სასკოლო კომისიის სხდომებზე გადამწყვეტ ხმის უფლებით იმ ვითარებათა განხილვის დროს, რომელნიც შეეხებიან სასწავლო და საადმინისტრაციო მხარეებს (მასწავლებელთა დანიშვნა, მათი სამსახურიდან დათხოვნა და სხ.).

12) ნება მიეცეს მასწავლებელთა საზოგადოებას, ყოველ კერძო შემთხვევის დროს აირჩიოს დეპუტატი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქალაქის საბჭოს სხდომებზე სასკოლო საქმეების კითხვების განხილვა-გადაწყვეტის დროს.

13) სწავლა-აღზრდის საქმე რომ უკეთ მოეწყოს, საჭიროა მასწავლებელთა დანიშვნის დროს ყურადღება მიექცეს მათს პრაქტიკულ გამოცდილებას; ამისათვის პენსიის დანიშვნის დროს, მასწავლებელთ უნდა ჩაეთვალოთ სამსახურში ყველა ის წლები, რომელნიც პედაგოგიურ ასპარეზზე გაუტარებიათ, თუნდა ეს სხვა სასწავლებელიც ყოფილიყოს.

14) ნება მიეცეთ მასწავლებელთ და მათ ოჯახობათ უსასყიდლოდ ისარგებლონ ქალაქის ექიმის დახმარებითა და ქალაქის აფთიაქის წამლებით.

15) პენსიის მისაღებად დაწესდეს 20 წლის სამსახურის ვადა. პენსიად უნდა დაინიშნოს სრული ჯამაგირი. პენსია უნდა ინიშნებოდეს 10—15 წლის სამსახურისთვისაც: 10 წლისთვის—ჯამაგირის ნახევარი; 15 წლისთვის—$^{2}/_{3}$ ჯამაგირისა (10—15 წლის სამსახურისათვისაც მხოლოდ მაშინ ინიშნება პენსია, თუ რომ მასწავლებელი გარდაიცვალა, ან ისე დაავადმყოფდა, რომ მასწავლებლობა აღარ შეუძლია).

16) მასწავლებლის გარდაცვლის დროს, რომელსაც უმსახურნია არა ნაკლებ 5-ისა და არა უმეტეს 8 წლისა, მისი ქვრივი იღებს პენსიად ჯამაგირის $^{1}/_{4}$ ნაწილს; იმ მასწავლებლის ქვრივი და ობლები კი, რომელმაც ხუთ წელზე ნაკლები იმსახურა, იღებს ერთდროულ შემწეობად მთელი წლის ჯამაგირს.

17) მასწავლებელს—ქალი იქმნება იგი თუ კაცი—სამსახურში მიღების დროს უნდა დაენიშნოს წლიურად 600 მანათი.

18) ყოველ ხუთი წლის სამსახურისთვის მასწავლებელთ უნდა ემატებოდეთ ჯამაგირის 20 პროცენტი.

19) სრულ პენსიად უნდა დაინიშნოს ის ჯამი, რომელიც შედგება 10 წლის შემდეგ, ორი ხუთეულის წლის სამსახურისთვის 20 პროცენტის მიმატებით; ე. ი. 864 მანათი. პენსიის ამ რაოდენობას მიიღებს ის მასწავლებელი, რომელიც 20 წელს იმსახურებს; ამის ნახევარს, ე. ი. 432 მანათს—ვინც 10 წელს იმსახურებს, და $^{2}/_{3}$-ს, ე. ი. 576 მანათს—ვინც 15 წელს იმასწავლებლებს;

20) იმ პირთ, რომელნიც საპენსიო ვადაზე ხუთი წლით მეტს იმსახურებენ, ე. ი. 25 წელს, დაენიშნოთ პენსიად 600 მანათი, სამი ხუთეული წლის 20 პროცენტიან დამატებით, ე. ი. 1036 მანათი და 80 კაპ.

21) ვინც 25 წელს იმასწავლებლებს, სამსახურს უსათუოდ თავი უნდა დაანებოს.

22) მასწავლებელთა ჯამაგირიდან საპენსიო კასის სასარგებლოდ ყოველ თვიურად უნდა გადიდოს 2 პროცენტი.

23) მასწავლებელთ წარსული სამსახური უნდა ჩაეთვალოთ საპენსიო ვადაში. იმ პირთ, რომელთაც საპენსიო წესდების შემოღებიდან 5—10 წელიწადი უმსახურნიათ, სამსახურიდან გასვლამდის უნდა ყოველთვიურად იხადონ 4%, წარსული წლების 2%-თან გადასახადის შესავსებად; ვისაც 10 წელზე მეტი უმსახურნიათ—იმათ-კი უნდა იხადონ 6%.

24) იმ პირთ, რომელთაც 5 წელზე მეტი უმსახურნიათ, მომავალ სამოსწავლო წლის 1 სექტებრიდან მოემატოთ ჯამაგირის 20%; იმათ კი, ვისაც 10 წელ. ნაკლები არ უმსახურნიათ—მოემატოთ 40%, მასწავლებელ ქალთ, რომელნიც ამჟამად 360 მანათს იღებენ, 1 სექტემბრიდან დაენიშნოთ წლიურად 600 მანათი.

25) სკოლების გამგეთ უფასოდ უნდა ეძლეოდეთ ბინა, შეშა, სანთელი და მსახური; მასწავლებელთ კი უნდა ეძლეოდეთ ბინის დასაქირავებელი ფული.

26) თუ მასწავლებელთ ოჯახში ვინმე ავად გაუხდათ, ან რამე უბედურება შეემთხვათ, უნდა აღმოუჩინოთ შემწეობა საჭიროების გვარად.

27) იმ მასწავლებელთ, რომელთაც 10 წელიწადი უმსახურნიათ, უნდა მიეცეთ თითო წლის თავისუფლება; ამ ხნის განმავლობაში მათ უნდა ეძლეოდეთ სრული ჯამაგირი და ადგილიც შეენახოთ. ეს თავისუფლება უნდა ეძლეოდეთ მათ მხოლოდ მისთვის, რომ დაისვენონ და თანაც გაიცნონ, როგორაა დაყენებული სწავლა-განათლების საქმე სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში.

28) მასწავლებელთა შვილები ყოველ სასწავლებელში უფასოდ უნდა სწავლობდნენ.

29) დაწესდეს სასწავლებელთა ექიმის თანამდებობა, რომელსაც უნდა დაევალოს, როგორც სასწავლებლების მეთვალ-ყურეობა სანიტარულ-სამკურნალო მხრივ, ისე მოწაფეების უფასოდ ექიმობა.

30) საშობაოდ და სააღდგომოდ მასწავლებელთ უნდა მიეცეთ საჩუქრად ნახევარი თვის ჯამაგირი.

ბევრს თხოულობენ ჩვენი მასწავლებლები, უთუოდ იმ იმედით, რომ ცოტას მაინც მოგვცემენო!

ისარი.

პრესსა

ჟურნალ „პრავოს“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ღია წერილი ერთის მუშის—ტიმოფეევისა,—მიმართული პანტელეევისა, კოროლენკოსა და სრულიად-რუსეთის საზოგადოებისადმი. ეს წერილი ისეთის შინაარსისაა, რომ მას ყველა ჟურნალისტმა და მწერალმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ავტორი, სხვათა შორის, სწერს:

> მე მუშა ვარ. პატარობიდანვე სახელმწიფოში ვცხოვრობ და ჩემ თავზე განვიცადე მთელი სიდუხჭირე რუსეთის უბრალო მუშის ბედისა. აქ ციხეც არის, გადასახლებაც, სამუშაოს უქონლობაც, ყველაზე უმთავრესად კი—სიბნელე. ბრმებივით დავეხეტებით აქეთ-იქით; ვერ გაგვიგია, ვინაა მართალი და ვინ მტყუანი. არავინ გვყავს—თვალი აგვიხილოს, სიცრუისა და ცბიერებისაგან დაგვიფაროს. დღევანდელი დრო კი ნამდვილსა და გარკვეულ ცოდნას მოითხოვს.
>
> ჩვენ გვჭირია სინათლე, მაგრამ როგორ ვიპოვოთ იგი, თუ კი ის ჰკარტლის მძიმე ჩვრებშია გახვეული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი იდეალები და გზა, რომლითაც მიზანს მივაღწევთ, მაგრამ როგორ გავიგოთ ეს იდეალი, როცა არიან ისეთი კაცები, რომლებიც, თუმცა გარეგნობით პოლიციელებს არა ჰგვანან, მაგრამ გაიძახიან-კი: „ძმანო, რას ჩადიხართ?!. მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, გონს მოდით!“. ჩვენც ვდგევართ შუა გზაზე და ვერ გადაგვეჭრია—საით წავიდეთ? რომელ კრებს დავუკაკუნოთ?
>
> რომ იცოდეთ, რა რიგად გაგვეხარდა, როცა გავიგეთ, რომ ჩვენს პირ-ვარამს ჭკვიანი კაცებიც იზიარებენ, როცა გავიგეთ, რომ თქვენ პირველად გამოგვიწოდეთ ხელი დასახმარებლად.
>
> მოდით ჩვენთან, ძვირფასო და პატიოსანო მწერალნო, მოდით, ვისაც კი შეგიძლიათ, ჩვენს განათლებას ხელი შეუწყეთ! გაანათლეთ ჩვენი ჭკუა და გული თქვენი გონივრული სიტყვებით! ჩვენც გაგვიზიარეთ თქვენი ცოდნა!.. აგვიხსენით, რას ნიშნავს „დამფუძნებელი კრება, საერო კრება“, რას ნიშნავს „საყოველთაო, პირდაპირი, სწორი და ფარული საარჩევნო უფლება“. განსაკუთრებით აგვიხსენით სიტყვა „ფარული“. ბევრს ჩვენს ამხანაგს აშინებს ეს სიტყვა... რა არის „გადასახადები“ და როგორი გარდასახადები არსებობენ? რომელია მათში უფრო სამართლიანი? რისთვისაა, რომ ოქროსა და ვერცხლის ფულთან ერთად ქაღალდის ფულიც გვხდება ხოლმე? როდისაა უმჯობესი მდგომარეობა: ქაღალდის თუ ოქროს ხმარების დროს? რა არის, საერთაშორისო ბაზრის კურსი?“ საერთაშორისო ვაჭრობა რომ არ იყოს, შეუძლია თუ

განა გახსოვთ იმისთანა დრო, რომ ძმას ძმაზე ნადირობა ასე დაუსჯელად შესძლებიყო!? გაიხსენეთ ათას შევიწროების ამტანი ჭირნახახი გურია, გაიხსენეთ იქიდან მოწერილი ამბები. აბა თუ ვინმემ საჭიროდ დაინახა ამ საშინელ ბრალდებაში თავის მართლება! თქვენ მეტყვით, ეხლა ზოგიერთ კუთხეში საომარი წესებია შემოღებული და ყოველივე ეს მოსალოდნელი არისო. კი, მაგრამ ყოველივე ეს წინედ იყო და, რაც საომარი წესი შემოიღეს, მას აქეთ აღნიშნულ ფაქტების მსგავსს მოვლენას ალაგი არ ჰქონებია გურიის ცხოვრებაში. მერე კიდევ ზუგდიდის მაზრაში ხომ საომარი წესები არ არის. აბა მიეცით საშაულება ამ მაზრის სოფელს მეხურს გამოსთქვას თავისი გულის ნადები და ყური დაუგდეთ, რა გულის შემზარავი ამბები მოგითხრონ! ან თვით საომარი წესი განა კანონით განსაზღრული არ არის? განა რომელიმე დრაკონისებური წესი გაამართლებს თუნდა ასეთ საქციელს, რომ ხელებ-გათოკილ ტყვეს, საპყრობილესკენ მიმავალს, სტრაჟნიკმა საკუთარ ჟინის მოსაკლავად თოფი დააძგეროს და სული გააფთხობინოს? ამბობენ, ასეთ მაგალითს სოფელს სალხინოში ჰქონდა ალაგიო. ჩემს გულს არ უნდა დაიჯეროს, რომ ყოველივე ეს კანონით ნებადართული იყოს. ეს უფრო კანონის აღმასრულებელ წვრილფეხა მოხელეთა საკუთარ შეხედულობის ბრალია და, თუ ამ ჭკუით მცირეწლოვან ბრიყვს თავი არ მოუკავეს და სავსებით შეხსნეს არტახები, ვინ იცის, საქმე რით გათავდება.

ვიმეორებ, თუ ამოდენა თვითნებობის ნიჭს იჩენს უბრალო მომაკვდავი, რის შემძლებელი უნდა იყვეს დიდის თანამდებობის კაცი, რომელსაც ხშირად განსაკუთრებულს უფლებებს აძლევენ და პირდაპირ ეუბნებიან: გარემოებათა მიხედვით შეგიძლიან საკუთარის შეხედულობითა და რწმენით იმოქმედოვო. ნეტავ რა ველური და უსაშუალო ხალხი შევიქენით, რომ ჩვენი მოქმედება რუსეთის ურიცხვ-ტომებიანმა კანონებმაც ველარ განსაზღვრა და დამნაშავეთა გასამართლება ამა თუ იმ მოხელის თვითნებობაზე მიაგდო? კაცი კიდევ შეურიგდებოდა, ასეთი დიდი უფლებებით რომ შემოსო ევროპის რომელისამე დაწინაურებულ სახელმწიფოს მოხელე, თუმცა უკანასკნელი ვერც კი გაიგებდა, რას ჰქვიან კანონიერ გზის ახვევა და საკუთარის შეხედულობით სიარული. შეურიგდებოდა იმიტომ, რომ იქ არც ისე ადვილია დაწინაურება და მაღალ კოფოზე წამოჭიმვა, როგორც ჩვენში. იქ ყოველ ამის მოსაპოებლად, ალბად, საჭიროა უმწიკვლო სინიდისი და მიუდგომლობა, სამართლიანობის მომხრეობა და გაბედულობა სამართლიანობის პრინციპის გასამტკიცებლად, გულკეთილობა, თავმდაბლობა უმცროსის წინაშე და გაბედულობა უფროსთან, გონებრივი განვითარება და ზნეობრივი სიფაქიზე, ცოდნა ხალხის ზნე-ჩვეულებისა, მისწრაფებისა და უზომო სიყვარული ღვიძლის ერის ადა სამშობლოსი. ყველა ამ ღირსებით აღჭურვილმა პირმა კიდევ ხანგრძლივი ბრძოლა უნდა გადაიხადოს, ბრძოლა ზნეობრივი და გონებრივი, რამდენსამე არჩევანში გამარჯვებული უნდა გამოვიდეს, თავის უმწიკვლო სამსახურით ხალხის ნდობა და სიყვარული უნდა მოიპოვოს, რომ მაღალი ადგილი დაიჭიროს. ესეც არა კმარა. ის ყოველ წუთში ფხიზლად უნდა იყოს, რომ თავის დანიშნულებას არ უღალატოს, არ წაიბორძიკოს, თორემ ხანგრძლივის ბრძოლით მაღლა ასული იმავ ამრჩევლების წყალობით სულ ცოტა ხანში დაბლა ჩამოგორდება.

ჩვენი წყალწასაღები ცხოვრება ასეთს გონებრივად და ზნეობრივად სრულს ადამიანს ნაკლებად შეჰქმნის და, თუ ვინმე გადურჩა ამ გონებისა და ზნეობის დამაზრობელ ჰავას, ზოგი ამგვარი ღირსებები არხანგელის გუბერნიის საყინულეთისკენ უფრო ადრე გაიკაფვენ გზას, ვიდრე ჩვენში. ყველამ კარგად ვიცით, თუ რამდენად ხელმძღვანელობენ ჩვენში ხალხის ნდობითა და სიყვარულით ამა თუ იმ თანამდებობის კაცის დანიშვნის დროს და რომელისამე „ნაცნობნათესავის“ თხოვნით, გინა სხვა უფრო უმსგავსო საშუალებით. მაღალ კოფოზე წამოჭიმულს გვამს მოდი შენ და უთხარი: შეგიძლია გარემოებათა მიხედვით საკუთარი კანონები თხზა და პირადის შეხედულობით იხელმძღვანელო-თქო. ძლიერ კარგად ვიცი, საით გვიზამს თავს ამისი პირადი რწმენა, რომ ცოტათი მაინც ამისთანა მოხელეს არ აშინებდეს სავსებით გადალახვა იმ კანონებისა, რომლის პატრონიც დღესა ვართ. საიქმელი ბარემ ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენი მხრის ურიადნიკმა მხოლოდ ამის ნება დამრთო და შემდეგში, თუ იმის წყალობა არ მომაკლდა, კვლავ გაგიზიარებ, მკითხველო, ჩემს ფიქრსა და შთაბეჭდილებას.

შუბნელი.

არა სახელმწიფოს არსებობა? რისთვისაა საჭირო ეს? შეადარეთ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი საზღვარგარეთისას და აგვიწერეთ ყველა სარგებლობა, თუ ზარალი რუსეთისა. რა მიზანი აქვთ დასავლეთ ევროპის სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს და ერთი მეორესაგან რით განსხვავდებიან? რა პარტიები არსებობდნენ რუსეთში და ვინ იყვნენ, მაგალითად, ნაროდნიკები, სლავიანოფილები და სხვა? რას ემსახურებოდა ეკლესია დასავლეთ ევროპაში და ჩვენში? რისთვის წარმოიშვა რუსეთში სხვადასხვა სექტები და რა არის მათი უმთავრესი დოღმატები?

ეს კითხვები ჩვენ ყველას ღრმად გვაინტერესებს, მაგრამ მათზე პასუხის მიცემა ჩვენ თვითონ არ ძალგვიძს.

გთხოვთ აგვიხსნათ ზემოდ ჩამოთვლილი საკითხები. წიგნაკების გამოცემა ხომ შეიძლება...

ჩვენ ღარიბნი ვართ, მაგრამ მეგობრები კი გვყავს. ვიცი, ისინიც დაგეხმარებიან და, რაც კი შეუძლიათ, არაფერს დაიშურებენ.

დაგვიანებული არ არის... ჯერ კიდევ ფაბრიკა-ქარხნების ჰვარტლს და ბოლს ჩვენ გულამდის არ ჩაუღწევიათ და ჩვენი სულის განათლება არც ისე ძნელია.

როგორც ხედავთ, ეს წერილი ყურადღების ღირსია არა მარტო რუსეთში, არამედ ჩვენშიაც. დღეს საზოგადოდ მშრომელ ხალხში დიდი ცნობისმოყვარეობა და ცოდნის წყურვილია გაღვიძებული. იმ დიად პოლიტიკურ მოძრაობაში, რომელიც ამჟამად მთელს რუსეთის იმპერიაში არის აზვირთებული, შეგნებულ მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ცოდნა და არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობის შეგნება. მუშა-ხალხი ნატრობს, თხოულობს ასეთ ცოდნას და ყოველი გულწრფელი მოყვარე ხალხისა ვალდებულია იმ მოთხოვნას ანგარიში გაუწიოს და ხალხში საჭირო ცოდნის გავრცელებისათვის იმუშაოს. ეს ვალდებულება გვაწევს როგორც გაზეთებს, ისე წიგნების გამომცემელ ამხანაგობებსა და კერძო პირებს. ჩვენში დღეს ბლომად იბეჭდება წიგნები, მაგრამ მათში არის ბევრი ისეთი, რომელიც ეხლანდელ ცხოვრებასა და თანამედროვე საკითხებს არ შეეხება. და ეხლანდელ დროში სწორედ ასეთი საკითხები აფიქრებს და აინტერესებს ყველას. ამიტომაც საჭიროა ჩვენში მწერლებმა და გამომცემლებმა სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და მკითხველებს თანამედროვე მოთხოვნილების შესაფერი წიგნები მიაწოდიონ.

რუსეთი

პეტერბურგში ხმა დადის, სინოდის ობერ-პროკურორი **პობედონოსცოვი მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნებაო**, ვიტტე კი ამ თანამდებობას თავს ანებებს (რ. ვ.).

✦ უწმინდეს სინოდის მიერ შეჩვენებულ მწერალს **ლ. ტოლსტოის ამ მოკლე ხანში შეჩვენებას ახსნიან** (რ. ვ.).

✦ ფინანსთა სამინისტრომ საზღვრების საბაჟების უფროსებს ბრძანება მისცა, უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი უფრო მეტის **ყურადღებით და დაწვრილებით გასინჯეთო** (რ. ვ.).

✦ ამიერიდან ყველა, ვინც კი სახელმწიფო სამსახურში შესვლას მოინდომებს, მოვალე იქნება მთავრობას შემდეგი ხელწერილი მისცეს: „მე, ამისა ქვემორე ხელის მომწერელი, **პირობას გაძლევთ, რომ არავითარ საიდუმლო საზოგადოებაში—საბჭოებსა, გამგეობასა და სხ.—არ ვირიცხები** და არც შემდეგში ჩავირიცხები და არა თუ ამ საზოგადოებათა წევრად არ ვყოფილვარ, მათ კრებებს არ დავსწრებივარ, არამედ იმათ შესახებ არაფერიც არ ვიცოდი, არც მათ წევრებს ვიცნობდი და მათთვის არავითარი ფიცი არ მიმიცია'' (ს. ოტ.).

✦ ვილნოს სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა განაცხადეს, **რუსულ ენაზე ფიცს არ მივიღებთ** და, თუ გნებავთ, პოლონურ ენაზე დავიფიცებთო. ეს თხოვნა მთავრობამ არ შეიწყნარა. ნაფიცი მსაჯულნი სასამართლოდან გავიდნენ („რ. ს.“).

✦ ამ დღეებში პეტერბურგში პროფესორთა კავშირის კრება მოხდა. პროფესორები შეუერთდნენ სტუდენტებს გაფიცვაში და დაადგინეს, იმ დრომდის, **სანამ სახელმწიფო წესწყობილება არ შეიცვლება, ლექციებს არ წავიკითხავთო.** („ბირჟ. ვედ.“).

✦ გაფიცულ პროფესორების ნაცვლად რუსეთის მთავრობამ გერმანელი პროფესორები მოიწვია და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების კითხვა სთხოვა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პროფესორებს დიდი ჯამაგირი შესთავაზეს, **გერმანიის პროფესორებმა რუსეთში ლექციების კითხვაზე უარი განაცხადეს** და ამით რუსეთის პროფესორებს მხარი დაუჭირეს (რ. ვ.).

✦ რუსეთის მოსწავლეთა ჯგუფმა გერმანიის საერო განათლების მინისტრს სთხოვა, რადგან მომავალ წლიდან რუსეთის **უმაღლეს სასწავლებლებში ძალიან ცოტა მოსწავლეს მიიღებენ,** ამიტომ გთხოვთ გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი პირობები შეგვიმსუბუქოთო (რ.)

✦ გარეშე საქმეთა მინისტრმა ლამზდორფმა არა ერთხელ სთხოვა მთავრობას სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ უარი მიიღო: **ჯერ თქვენმიერ დაწყებული საქმე (ომი) დაამთავრეთ და მერე წადითო** (რ. ვ.).

✦ ლოძში **გაფიცვას ძალიან მოუხშირეს.** ამჟამად 50 ათასამდე მუშაა გაფიცული. შარშან შემოდგომიდან ეს მეცამეტე გაფიცვაა (რ.).

✦ კალიშში 800 **მეჩექმე გაიფიცა** (რ.).

✦ კალიშის გუბერნიაში, ოზერკოვში, გლეხთა **მოძრაობა მთავრობამ ჩვეულებრივის ზომებით ჩააქრო** (რ.)

კორესპონდენცია

ბათუმი. 15 მაისს, 4 საათზე, გარადოკისკენ მოჰკლეს ყველასაგან დიდად პატივცემული მუფტად ყოფილი, ჭაჯი-ეფენდი-ზადე ყიდიჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანი. ამ ამბავმა მთელ ბათუმში დიდი მღელვარება გამოიწვია და შესაძლებელი იყო მას ცუდი შედეგიც მოჰყოლოდა, მაგრამ აქაურმა ქართველმა მშრომელმა ხალხმა, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდი მოქალაქობრივი მომწიფება გამოიჩინა და დროით შეეცადა, რომ ძმათა შორის სისხლის ღვრა არ აეტეხილიყო. მკვლელობის შესახებ საზოგადოებაში ორგვარი აზრი ტრიალებს: **პირველი,** იგი უნდა მოეკლათ ავაზაკებს გაძარცვის მიზნით, რადგან მოკლულს 433 მ. აღმოაჩნდა, რაიცა ბანკში უნდა შეეტანა მეორე დღეს და რის წაღებაც ბოროტ-მოქმედთ ვითომ ვერ მოუსწრიათ, რადგან რამდენიმე კაცი წასწრებოდა. **მეორე:** ვითომც ეს საზიზღარი მკვლელობა ჩადენილია განზრახ ბნელ ძალთაგან, რომ ძმათა შორის სისხლს ღვრა აეტეხათ და ერთმანეთისთვის მიესიათ. ასეა თუ ისე, ეს საკითხი ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის. მკვლელობამ ყველა აქაური მაჰმადიანი ფეხზე დააყენა. ისინი ამბობენ, თუ მკვლელი არ მოგვეცით, ჩვენ შურს ვიძიებთ და ამას კი ბაქოსა, განჯისა, ერევნისა და ნახიჩევანის ამბები მოჰყვებაო. შეძრწუნდა მთელი საზოგადოება.

16 მაისს, შუადღისას, მიცვალებულის აჭარაში წასვენების დროს მუსულმანთა მეჩეთში დიდძალი საზოგადოება მოგროვდა. აქ იყვნენ როგორც მუსულმანები, ისე ყველა ერის წარმომადგენელნი ამ საზიზღარის მკვლელობით აღელვებული ხალხი ისმენდა მოლებთა მგზნებარე სიტყვას, რომელიც იწვევდა ყველას ძმობა-ერთობისაკენ და ჰგმობდა ბნელ ძალებს და მათ მოქმედებას. ყველასათვის საყვარელ აჯის გვამი ხალხმა კახაბერამდე ხელით მიასვენა. მუსულმანებს სცვლიდნენ ქრისტიანენი ქართველები, რომელთაგანაც დაუვიწყარი ადამიანის გვამს ბევრი ცრემლის ფრქვევით გამოეთხოვა.

ამ ვერაგულ მკვლელობით შეშფოთებულმა ქართველობამ, 18 მაისს, თავი შეიყარა საბჭოს დარბაზში და დაადგინა, მეორე დღეს მთელი ბათუმის მცხოვრებლები შეეკრიბნა და ასეც მოხდა. 19 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, გენერალ-გუბერნატორის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანის ნებართვით, რკინის თეატრში თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა. ყველა ეროვნებათაგან თითო კაცი ამოირჩიეს და დაავალეს, ორის საათის განმავლობაში, თავ-თავიანთ ეროვნებისა, რაც შეიძლება, ბევრი შეეკრიბნათ. ნაშუადღევის 4 საათზე 5—6 ათასამდე კაცი მიაწყდა თეატრის კარებს. ვინც თეატრში ვერ დაეტია, გარედ იდგა. ქართველთა, სომეხთა, რუსთა, ბერძენთა, ოსმალთა და ებრაელთაგან ხალხმა ამოირჩია თითო კაცი. შეადგინა ბიურო, რომელმაც თავმჯდომარე დაასახელა (ბეითადი ვართანიანცი). კრებამ ღრმესი თანაგრძნობა გამოუცხადა მიცვალებულის მახლობელთ და ზიზღი და კიცხვა—მკვლელ ავაზაკთ. თითოეული სიტყვა ორატორებისა ითარგმნებოდა ყველა ენაზე. მრავალი დროის შესაფერი სიტყვა წარმოითქვა და აღინიშნა, რომ არსებული ბიუროკრატიული წყობილება უყველ მხრივ ათასნაირებს ხალხს. ამ უკანასკნელ დროს საზოგადოება ვეღარ უძლებს მის სიმძიმეს. იგი გამართა წელში და სურს განახლდეს ცხოვრება, უარჰყოს არსებული წყობილება და, რადგან ამ უკანასკნელს სჭირია რადიკალური ოპერაცია, ეს იწვევს ტკივილებს ამ ოპერაციის თავიდან ასაცილებლად ბნელი ძალები ყოველ ძალღონეს ხმარობენ, სხვათა შორის, იწვევენ სხვადასხვა ერის შორის შუღლს და მტრობას, აღვრევინებენ ურთიერთის სისხლს. იხმარებენ „შავრაზმებს“, დაუსევენ ინტელიგენციას და მოსწავლეთ, შემზარავ ახალთაობას. ამიტომ ვისაც ადამიანობა შეგვრჩენია, ყველა ერთა წარმომადგენელნი, შევერთდეთ და ერთის ძალით გავუმკლავდეთ საერთო მტერს და არ გავუხდეთ მის საზიზღარ სურვილებს ბრმა იარაღადაო. ამასთან მოვითხოვთ, სიტყვის, კრების და პრესსის თავისუფლება, მოვითხოვთ დამფუძნებელი კრება, რომ მან შესწყვიტოს უსაზარლესი სისხლის ღვრა და შეაჩეროს მანჯურიის ველ-მინდორზე და წყნარ ოკეანეში ჩვენ ძმათა ხოცვა-ჟლეტა და დატაკის ხალხის ნაწვავ-ნადაგი მილიონების ფლანგვა, რასაც არ უჩანს დასასრულიო.

რადგან ამ დღეს ხალხმა ვერ მოასწრო ყველა თავის საჭირბოროტო კითხვების გადაწყვეტა, კრების გაგრძელება დაინიშნა კვირას, 22 თებერვლისათვის, ქალაქის გამგეობის ეზოში. კრებამ საუცხოვო წესიერად ჩაიარა.

ონ—ელიძე.

ქ. ნახიჩევანი, 10 მაისი. დღეს აქ ჩამოვიდნენ ერევნის ვიცე-გუბერნატორი პოდპოდ, ტარანოვსკი, ერევნის სომხეთა ეპარქიის გამგე არხიმანდრიტი გარაზეტ და ერევნის ქალაქის თავი მელიქ-აგამალოვი, რომელთაც ხალხი უნდა დაამშვიდონ. არეულობა კი შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: ნახიჩევნის ახლო სომხის სოფელში მოჰკლეს ნახიჩევნელი თათარი; მეორე დილითვე იმ სოფლიდან მომავალი სომეხი მოკლეს ნახიჩევანში. ამის შემდეგ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, რომ უსათუოდ შეტაკება მოხდება სომხებსა და თათრებს შორისო, მაგრამ ზომების მიღებაზე არაფერი უფიქრიათ.

11 მაისი. დღეს შეიკრიბნენ სომხებისა და თათრების წარმომადგენლები და გადაწყვიტეს გაიღონ მაღაზიები. ვიცე-გუბერნატორი დადის ქალაქში და სომხებს სთხოვს, ხვალ უშიშრად გააღონ მაღაზიები (თათრები თითქმის ყველა გაჭრობენ). ღამის ცხრა საათი იქნებოდა, რომ ატეხეს ისეთი შესაზარავი სროლა, რომ ბრძოლის ველს შეედრებოდა. საბედნიეროდ, როგორც გამოირკვა, იმ ღამეს არავინ დაშავებულა.

12 მაისი. გაჭრებმა, გუშინდელ სროლას ყურადღება არ მიაქციეს, დაუჯერეს ვიცე-გუბერნატორისა და აქაურების პატიოსან სიტყვას და თითქმის ყველა მაღაზიები გააღეს, მაგრამ... რაც დილის ცხრა საათზე ამბავი მოხდა, იმის წარმოდგენა მხოლოდ შეუძლია ბაქოს ამბების მნახველს. შეაიარაღებული ხალხი დახურულ ბაზარში ყველა მხრიდან შეცვივდა თითო-ორმოც კაცს ახლდა მეთაური, რომელიც აჩვენებდა, საით უნდა ესროლათ, რომელი მაღაზიაა სომხისა და რომელი თათრისა.

დახურულ ბაზარში ჯერ მიუცვივდნენ იმ განყოფილებას, სადაც უფრო მდიდარი მაღაზიები იყო. პატრონებმა, რასაკვირველია, გაქცევა დააპირეს, მაგრამ სად წავიდოდნენ, ყველა გამოსავალში შეაიარაღებული ხალხი იდგა. მაღაზიებიდან საქონელი წაიღეს, მერე ცეცხლი წაუკიდეს და დასოცილებაისად სრულებით გადასწვეს. დამწვარია ათი საუკეთესო მაღაზია. მანევრებზე გაყვანილი ჯარი მაშინ დაბრუნდა, როცა ქალაქი სრულებით დაცარიელდა. ძნელი წარმოსადგენია ადამიანისათვის, თუ 4 საათში ამნაირად შეიძლებოდა ამდენი საქონლის წაღება.

მოკლულთა რიცხვი სამოცს აღემატება და დაჭრილები უთვალავია.

როგორც ბოქაულები აცნობებენ მაზრის უფროსს ნახიჩევნის ახლო-მახლო სოფლებშიაც დაწყებულა ხოცვა-ჟლეტა. სოფელ ჯაგრიდან კი დღეს მოვიდნენ სოფლის მასწავლებელი და სტრაჟნიკები, რომელნიც ამბობენ, არც ერთი მამაკაცი არ დაუტოვებიათ ბავშვებს კი არას ერჩიანო.

მოსამსახურე პირებმა თავის ოჯახობით თავ-თავის დაწესებულებებში შეაფარეს თავი, სახლები მიგდებულია უპატრონოდ. ბევრმა მიატოვა თავის სახლები და უფრო უშიშარ უბანში ცხოვრობენ, ათ-ათი კომლი თითო ეზოში.

13 მაისი. ღამემ მშვიდობით ჩაიარა, თუმცა სროლა მთელი ღამე ისმოდა.

ქალაქში სიცოცხლე შესწყდა. პური და სანოვაგე არსად იშოვება. ქალაქში პატრული დადის.

თოთხმეტ მაისს საღამოზე მოვიდა ერევნიდან მერვე ბატალიონის სამი როტა, რომელსაც შეხვდა აუარებელი ხალხი და სთხოვეს, დაგვიფარეთ როგორმეო. ჯარმა მთელ ქალაქში მუსიკით გაიარა და შემდეგ საქალაქო სასწავლებელში დაბანაკდა.

15 მაისი. მშვიდობიანობა არის, მაგრამ ქალაქში სომეხთა და თათრის უბნებიდან არავინ გამოდის.

ჩამოვიდა აუარებელი მუშა, რომლებიც რკინის გზაზე მუშაობდნენ.

მეთხე დღეა, მკვდრები არ დაუმარხავთ, უმეტესი ნაწილი პოლიციაში აწყვია, დანარჩენნი სახლებში. დასამარხად ვერ გასუჯან.

ფოსტის გზა დაიკეტა; გზაზე ძარცვა-გლეჯა უარესია.

ხუთ სოფელში სომხები კიდევ დაუხოციათ.

ა. კან—ი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ეს ცნობები დაბეჭდოთ. წარსული წლის ოქტომბრის დამდეგს თიანეთის მაზრაში გასასყიდად წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდამ გამოვიწერეთ 50 ცალი წიგნი აკაკისა „ჩემი თავგადასავალი“. ფული მიღებისთანავე ეგზავნებოდა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას: 30 მან. გაიგზავნა დეკემბერში, 20 მან.—თებერვალში, 15 მანეთიც იგზავნება დღეს, სულ—65 მ. ზედმეტი თხუთმეტი მანათი აკაკის სახელობის ფონდის სასარგებლოდ შემოსწირეს: თავ. ალ. ლევ. ჯორჯაძემ 2 მ., მღვდ. გიორგი ინაშვილმა 3 მ., ბატ. მიხ. დიმ. ნასიძემ 1 მ., თავ. მიხეილ გიორ. ერისთავმა 3 მ., ლ. ჯავ—შვილმა 6 მ.

წიგნების გაყიდვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო თიანეთის მაზრის კეთილმოწესემ მღვდ. გრიგოლ ჯინჭველაძემ.

დავშთები თქვენდამი სრულის პატივისცემით **ექიმი ლ. ჯავახიშვილი.**

15 მარტი 1905 წ.
ს. ახმეტა.

ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

25 მაისი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან არ მოსულა.

ტოკიო. ოფიციალურად. რუსების კავალერიის პატარა რაზმი 20 მაისს ხსიმახეძისთან მოვიდა ჩატუს აღმოსავლეთად 9 მილის მანძილზე. მეორე ამისთანავე რაზმი მანჩენძისთან მოვიდა, ვეიუანპომენის ჩრდილო-დასავლეთად ექვსი მილის მანძილზე. ორივე რაზმი იმავე დღეს უკუქცეულ იქმნა. იაპონელების მზვერავებმა იერიში მიიტანეს რუსის კავალერიაზე სადგურ ჩანტუს ჩრდილოეთად, ხუთი მილის მანძილზე.

ვაშინგტონი. მანილიდან იუწყებიან, ენკვისტი არ დაჭრილაო. სხვადასხვა ხმებია ამერიკის მთავრობის განზრახვის შესახებ; ამბობენ, ენკვისტი 14 დღის ვადას თხოულობს გემების შესაკეთებლად. მეორე ხმით, რუსეთის გემებს იარაღი აეყრებაო. ამერიკის მთავრობა იძიებს, რუსების გემები თავის ვინაობას ხომ არ მალავდნენ სუალში, რომ ესარგებლნათ პრივილეგიებით, რომლებიც მეომარ სახელმწიფოს გემებს არ ეძლევა. ამბობენ, სუალში გემიდან გადასული რუსის აფიცერი ტელეგრაფის კანტორას ეძებდა და ირწმუნებოდა, რუსები სუალიდან არც ნახშირსა და არც სურსათს არ წაიღებენო.

ვლადივოსტოკი. ჯარის კაცებისა და მცხოვრებთა ოჯახობა, რომელთაც მტრის მოგერიებაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ, უნდა გაიხიზნოს აქედან.

შანჰაი. რუსების კონტრ-ნაღმოსანი „ბოდრი“ ვუზუნს მოიყვანა გემმა „კველიმ“. ზედ 73 თავისი მეზღვაური იყო და 77 მეზღვაურიც სხვა გემებიდან მიეღოთ. ეს გემი ზღვაზე ეპოვათ უნახშიროდ. ტრანსპორტები „იაროსლაველი“ და ერთი სხვა შანჰაის მოვიდნენ და კრეისერ «ასკოლდიდან» ნახშირი გადაიქეთ. ექვსი ტრანსპორტი ვუზუნშია. იაპონელების ესკადრა ადმირალ ურიუს უფროსობით კუნძულ ბურცლოვთან მოვიდა.

ნაგასაკი. ერთი სიკვდილს გადარჩენილი მეზღვაური ირწმუნება, რუსის კრეისერ “სვეტლანა”-ზე იაპონელებს გემებმა „ნიტაკა“ და ,,ოტავა''-მ 15 მაისს მიიტანეს იერიში. წინა ნაწილი სრულიად დაიმსხვრა და კრეისერი 200 მეზღვაურით დაიღუპა, მათ შორის კომანდირი და კაპიტანი. ამ დროს კრეისერზე მხოლოდ 11 ყუმბარა-ღა იდო.

ტოკიო, 22 მაისი. ტოგო იუწყება სახელებს 14 მაისის ბრძოლაში დაღუპულ სატრანსპორტო და განსაკუთრებულ სამსახურის გემებისას. ესენი არიან: ,,ურალი'', ,,კამჩატკა'' და ,,ირტიში''. ერთ მათგანს ჯამბარით მიჰყავდა სანახშირე გემი, მგონი ,,რუსი''. იუწყება აგრეთვე იმ გემთა სახელებს, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს, მაგრამ იაპონელებმა ვერც დაჰლუპეს და ვერც დაატყვევეს. ესენია: ,,ოლეგი'', ,,ავრორა'', ,,იზუმრუდი'', ,,ალმასი'' სამი სატრანსპორტო, ორი კონტრ-ნაღმოსანი და ერთი ჯამბარა გემი. ბრძოლის დროს ,,ავრორასა'' და ,,ოლეგზე'' ცეცხლი გაჩნდა.

მანილა, 22 მაისი (რეიტერი). მოვიდნენ რუსეთის კრეისერები, რომელნიც საათში 34 მილს გადიოდნენ. ენკვისტი ამბობს, იძულებული ვიყავი მიმეტოვებინა საფლაგმანო გემი, გადამეტანა ბაირაღი ,,ავრორაზე'' და გაშლილ ზღვაში გავსულიყავიო. ენკვისტს არა სცოდნია, რომ ბრძოლას ისევე განაგრძობდნენ კვირასაც. „ოლეგის“ შეკეთებას ორ თვეს მოუნდებიან, „ავრორასას“—ერთ თვეს, „ჟემჩუგისას“—ერთ კვირას. რუსები შუამდგომლობენ, ნება მიეცეთ, რომ აქაურს ნავთსადგურში შეაკეთონ გემები.

შანჰაი, 22 მაისი. რუსთა სატრანსპორტო გემები შეიპყრეს. მეზღვაურნი გაგზავნეს ბრიტანიის გემ „ოლდჰამია“-თი. აფიცრები „ოლეგიდან“ არიან, მდაბიო მეზღვაურნი—„დნეპრ“-იდან. რუს აფიცერთა ერთი ნაწილი გადავიდა ,,ოლთხამიაზე'', რომელიც ვლადივოსტოკს მიდის ,,ყუბანი''-სა და ,,თერგი''-ს თანხლებით.

ტოკიო, 22, მაისი. მუავარ-ბაწაკიდან იუწყებიან, რომ 20 მაისს, დილის 7 საათზე, რუსის ცხენოსნები მიუახლოვდნენ სიამოძუს, შაკტუნიდან 9 მილზე აღმოსავლეთად. 20 მაისს რუს ცხენოსანთა მცირე რაზმი გამოჩნდა ნაიჩენაში, მაგრამ იაპონელებმა განდევნეს. იაპონელ მზვერავებმა იერიში მიიტანეს რუსებზე ჩანტუნის ჩრდილოეთად 6 მილის მანძილზე; მოკლულია ერთი მხედარი და ორი ცხენი. ცვლილება არაა.

სასებო, 22 მაისი. (,,დეილი ტელეგრაფი''). ,,დიმიტრი დონსკოი''-ს კაპიტანი გარდაიცვალა 20 მაისს. ცხედარს ნაგასაკს დაჰკრძალავენ მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. ნებოგატოვმა განაცხადა, სანამ როჟესტვენსკი არ განიკურნება, მანამ რუსეთს არ დავბრუნდებიო. იმპერატორის ბრძანებით 24,200 ტყვე რუსი გაიგზავნება ემირს; ,,ორიოლის'' აფიცერმა სთქვა: ჯავშნოსანზე 820 კაცი იყო, როდესაც იაპონელთ დაჰნებდაო. რუსებს 18 მოუკლეს და 50 დაუჭრეს, დანარჩენები უვნებელნი იყვნენო. დამორჩილების შემდეგ რუსებმა პანაშვიდი გადაუხადეს მოკლულებს. იაპონელებმა ნელნელა აუშვეს დროშები ანძების წვერამდე. ბრძოლის დროს იაპონელთა თანაგრძნობამ, და რუსეთის უბედურებაში მათმა მონაწილეობამ რუსებს გული აუჩუყა. აფიცრები და მდაბიო მეზღვაურნი გულამომჯდარნი სტიროდნენ. ჯავშნოსანს 100 ყუმბარა მოჰხვდა. პალუბა სულ ნამტვრევებად იქცა. ნაღმოსან ,,გრომკის'' აფიცერმა სთქვა: რუსები დათარეშობდნენ მტრის გემების ახლომახლო სრულიად უიმედოდ. ნაღმოსანზე 25 კაციღა დარჩა, რომელთაც ჩასძირეს გემი. იაპონელთა საგანგებო გემები ხელს უშლიდნენ რუსთა ნაღმოსნებს, რომ ამათაც ნაღმებით იერიში მიეტანათ, როგორც დაზიანდებოდა რუსთა ნაღმოსნები, მაშინვე იაპონელნი თავიანთ ნაღმოსნებსა ჰგზავნიდნენ მეზღვაურთა გადასარჩენად, თუმცა ამით ასუსტებდნენ თავიანთს მთავარს იერიშს. ბევრი რუსი გადაარჩინეს.

ტოკიო, 22 მაისი. ტოგომ ინახულა საზღვაო საავადმყოფო სასებოში, სადაც როჟესტვენსკი იმყოფება. ტოგომ მწუხარება გამოსთქვა როჟესტვენსკის დაჭრის გამო და დიდის ქებით მოიხსენია რუსთა მამაცური და თავგანწირული ბრძოლა. ტოგომ უთხრა: იმედი მაქვს, მალე განიკურნებით და რუსეთში მშვიდობიანად დაბრუნდებითო. როჟესტვენსკიმ მადლობა გამოუცხადა ტოგოს, მიულოცა იაპონიას გამარჯვება, ქებით მოიხსენია იაპონელთა სიმამაცე და ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და სთქვა: «ჩემი უსაზღვრო მწუხარება და ვაება ჩემის დამარცხების გამო ახლა შემიმსუბუქდა, რადგან ღრმად დაერწმუნებული ჩემის დამმარცხებლების კეთილშობილობასა და პატიოსნობაშიო».—სასებოდან დეპეშით იუწყებიან როჟესტვენსკის შტაბის ოფიცრის ნათქვამს, რომ რუსები დარწმუნებულნი იყვნენ გამარჯვებაშიო. «ჩვენი აზრი,—უთქვამს აფიცერს,—არამც თუ ვლადივოსტოკისაკენ გაგვეკაფა გზა, არამედ ნაბრძანებიცა გვქონდა, როდესაც ბალტიის ზღვიდან გამოვემართეთ, მტერი დაგვემარცხებინა, რადაც უნდა დაგვჯდომოდა. ჩვენც ყოველ საშუალებას ეხმარობდით ამ ბრძანების შესასრულებლად, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა“. ყველაზე უფრო დაზიანდა ჯავშნიანი გემი ,,ნიკოლოოზი'', რომელსაც უამრავ ადგილას შეუნგრიეს გვერდი 3-დან 10 ფუტის სიდიდეზე დიამეტრში.—მაიძურუდან იუწყებიან, ,,ასახიმ'' ნიშანში მხოლოდ „ბოროდინო“ ამოიღო და სეტყვასავით დაუშინა ცეცხლი და ყუმბარები. უკანასკნელიც ისროდა, სანამ წყალში არ ჩაიძირა. „ბოროდინო“-ს უკანასკნელმა ყუმბარამ მოჰკლა „ასახი“-ზე ლეიტენანტი მორიშიტა.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: 1, მთავრესი განმგებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა საქმეების შესახებ, დანაშაულობათა აღმოჩენისა და მოსპობისა, საზოგადო წესისა და მყუდროების დაცვისა და საპოლიციო დეპარტამენტის საქმეების გამგებლობა დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, პოლიციის გამგეს, რომელიც ჟანდარმთა განსაკუთრებულ კორპუსის კომანდირიც იქნება. 2, მინისტრის ამხანაგს მიეცეს უფლება თავისით განსჯას ყველა საქმეები, რაც მინისტრს ექვემდებარება. და იმ შემთხვევაში, როცა რაიმე საქმის გადაწყვეტა მინისტრის უფლებას აღემატება, მოხსენება წარუდგინოს პირდაპირ ხელმწიფეს. 3, მინისტრის ამხანაგს მიენდოს საპოლიციო დეპარტამენტის თავმჯდომარეობით არსებულ საბჭოს დადგენილებათა დამტკიცება და იმავე განმარტოს და უხელმძღვანელოს გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებს და ობერ-პოლიცმეისტერებს, როცა საჭიროება მოითხოვს; მის გამგებლობაში იყოს მთლად ის თანხა, რომელიც შინაგან სამინისტროს ეძლევა საპოლიციო ნაწილისათვის; მასვე ეძლევა უფლება კრებებისა, თუ საჭიროდ დაინახა. 4, მინისტრის ამხანაგს მიენდოს მთავარ-მეთვალყურეობა დაპატიმრებულ პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ. 5, ყველა საქმეთა გამო, რომლებიც ექვემდებარება მინისტრის ამხანაგს, მან პირდაპირ მიწერ-მოწერა იქონიოს ყველა დაწესებულებასთან და მოხელეებთან.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად და საპოლიციო ნაწილის გამგედ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი ტრეპოვი დაინიშნა.

პეტერბურგი, 23 მაისი. საღამოს პავლოვსკის თეატრში, კონცერტის დროს, დამსწრე საზოგადოებამ მანიფესტაცია გამართა რუსეთის ფლოტის ასე საშინლად დამარცხების გამო. საზოგადოების მოთხოვნილებით, ორკესტრმა დაკვრა შესწყვიტა. როდესაც ბაქოს ქალაქის მოურავად ნამყოფი ბ-ნი ალექსანდრე ნოვიკოვი წამოდგა და ხალხს მიჰმართა: საჭიროა ყოველი დონე ვიხმაროთ და მთავრობა ვაიძულოთ, რომ ომი შესწყვიტოსო, დარბაზში შემოიჭრა პოლიციელთა რაზმი, რომელმაც ჩქარა გამორეკა თეატრიდან ხალხი.

მოსკოვი, 22 მაისი. კეთილშობილთა საკრებულოში დაიწყო თათბირი ერობის მოღვაწეთა ყრილობისა. თავი მოიყარა 32 გუბერნიიდან ასზე მეტმა წარმომადგენელმა, თავმჯდომარეობს თავისუფალი საეკონომიო საზოგადოების პრეზიდენტი ჰეიდენი. განიხილეს პროგრამა და სისტემა ხალხის წარმომადგენელთა არჩევნებისა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

კანტორა

„კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საზოგადოებისა“ იმყოფება ქ. ტფილისში, ტურგენევის ქუჩაზე, № 11, და ღიაა დილის 9 საათიდან 11 საათამდის. (10—უ—6)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, **რომ ბორჯომში ქირით იძლევა ახლად შეკეთებული, ავეჯით მოწყობილი, ორ-სართულიანი საავარაკო სახლი**, რომელიც ი. ს. აბესალომოვისა იყო, ეხლა კი ქალ. ტფილისს ეკუთვნის. ქვემო სართულში 5 ოთახია, ზედაში 4 ოთახი. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში, ყოველდღე, გარდა უქმეებისა, დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე. (3—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 5 ივნისს, ამა წლისას, შუადღის 12 საათზე, იჯარით გაიცემა კანალიზაციის გაყვანა ქალაქის შემდეგ ქუჩებზე:

1. აკიმოვისა და უგოლნი ქუჩაზე მე-5 ნაწ.
24 საჟ. ბეტონის მილი სისქე 0,16×0,10 ს.
70 საჟ. „ „ „ 0,24×0,16 „
8 დასათვალიერებელი ჭა—3.

2. თამარის ქუჩა და თუმანოვის შესახ. მე-9 ნაწ.
68 საჟ. ბეტონის მილი სისქე 0,24×0,16.
დასათვალიერებელი ჭა—2.

3. ხარაზების ქუჩა (ბაშმაჩნი რიად) მეხოვი ტუპიკი და სომხის ბაზარზე მე-5 ნაწ.
45 საჟ. ბეტონის მილი სისქე 0,375×0,25.
30 საჟ. „ „ „ 0,16×0,10.
დასათვალიერებელი ჭა—2.

წერილობითი განცხადება, ზემოაღნიშნულ **სამუშაოს ფასებით, შეტანილ უნდა იქმნას დაბეჭდილ კონვერტებში ამა წლის 5 ივნისისთვის.**

ვაჭრობის მსურველთ კონდიციები შეუძლიანთ გაისინჯონ გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დღის 1 საათიდან 3 საათამდე.

(3—1).

პირველად ქართულს ენაზე
✦ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ✦
უცხო ←— ✦სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. „**უცხო ანდაზები და წინადადებანი,** რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ **1 მან.**, საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწეროთ. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ, книжная торг. І. З. Имедашвили.

(10—6.—5).

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“
პირველ ივნისიდან გადადის მიხეილის ქუჩაზე, № 97.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 23 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.